აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№85 (25.109) 11 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 30-35 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამით, ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

შოვი, სტიქია... ფაქტები და შეფასებები

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

2023 წლის 3 აგვისტოს, 16:00 საათზე შოვში მეწყერი ჩამოწვა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. სტიქიური უბედურება, რომლის მსგავსიც საქართველოში ათეულობით წლებია, არ მომხდარა - შოვი უზარმაზარი მეწყრული მასითაა დაფარული. კურორტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

* * *

როგორც თბილისიდან, ასევე ქუთაისიდან, მობილიზდა ვერტმფრენები. მეტეოროლოგიური პირობების გამო, ქუთაისში, განსაკუთრებულ სიტუაციებზე სწრაფმორეაგირე ჯგუფთან ერთად მობილიზებული ვერტმფრენი ვერ ჩაერთო. სამაშველო ღონისძიებაში თბილისიდან გაემგზავრა სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი. სამ საათზე ნაკლებ დროში პირველი ვერტმფრენი უკვე სტიქიის ზონაში სამაშველო ღონისძიებაში მონაწილეობდა. სტიქიის ზონაში გაემგზავრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი და მინისტრის მოადგილე, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პირები. სამაშველო ღონისძიებებში ჩართული ვერტმფრენი „სანსეტ შოვის“ მიმდებარე მოედანზე, საკმაოდ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დაფრინდა და უშუალოდ დამეწყრილ ტერიტორიაზე მოყოლილი 70 ადამიანის ევაკუაცია მოახდინა.

* * *

სტიქიის პირველივე ღამეს მუშაობდა სითბური დრონები, ხოლო სამძებრო ღონისძიებებში ავიაციის ჩართულობა, რელიეფისა და სტიქიის არეალში განლაგებული საკომუნიკაციო ანძების გათვალისწინებით, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო.

* * *

იმის გამო, რომ შოვი მოწყვეტილია გარე სამყაროს, დაღუპულების გადმოსვენება სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ხდება. ვერტმფრენებითვე განხორციელდა სტიქიის ზონიდან 200-ზე მეტი ადამიანის ევაკუირება. შოვში ყველა ტურისტული ობიექტი განადგურებულია. წაღებულია გზები და 2 ხიდი. მაშველებს, ჯარს, მოხალისეებს რამდენიმემეტრიან ტალახში უწევთ ადამიანების ძებნა.

* * *

რაჭაში მოვარდნილმა ღვარცოფმა განაახლა დისკუსია სამაშველო ვერტმფრენების აუცილებლობის შესახებ. 3 აგვისტოს, სტიქიური კატასტროფის ადგილას, საიდანაც მოსახლეობა დახმარებას ითხოვდა, ვერტმფრენი პირველი შეტყობინებიდან 3 საათში ჩაფრინდა. საბჭოთა წარმოების ვერტმფრენი არა სამაშველო სამსახურს, არამედ სასაზღვრო პოლიციას ეკუთვნის. სტიქიის პირველ დღეს, დაგვიანებით მისულმა ვერტმფრენმა ორი რეისის და 70 კაცის ევაკუაციის შემდეგ, დაღამებისთანავე შეწყვიტა მუშაობა მეორე დილამდე. ღამით ათობით ადამიანი, მათ შორის ბავშვები ღია ცის ქვეშ დახმარების გარეშე დარჩნენ. ოფიციალური განმარტებით, ვერტმფრენმა სამაშველო სამუშაოების გაგრძელება ღამის ხედვის სისტემის არქონის გამო ვერ შეძლო.

* * *

ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები დაგვიანებით გამოიყენეს, რეაგირება მყისიერად რომ მოეხდინათ, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ადამიანების გადარჩენა. სპეციალურად აღჭურვილი ვერტმფრენები საქართველოს დღემდე არ აქვს, თუმცა ხელისუფლება მათ შეძენაზე თითქმის 10 წელია საუბრობს.

* * *

გუდაურის ტრაგედიის შემდეგ, 2022 წლის აგვისტოში, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სააკაშვილის ხელისუფლების დროს შეძენილი ვერტმფრენი „სუპერ პუმა“ გაეყიდა და მის ნაცვლად სამი ახალი შეეძინა. 2022 წლის მიწურულს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მართლაც, გააფორმა კონტრაქტი ფრანგულ კომპანიასთან სამი ახალი შვეულმფრენის ყიდვაზე, თუმცა შესყიდვა ავიაპარკის მყისიერ განახლებას არ ნიშნავს. 26 500 000 ევროს ღირებულების სამი შვეულმფრენი საქართველოში ეტაპობრივად შემოვა - პირველი ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 თვეში, მეორე - 19 თვეში, მესამე კი 20 თვეში. ხელშეკრულება ამ პირობით ნიშნავს, რომ საქართველოს მომდევნო ერთი წელი ახალი სამაშველო ვერტმფრენი კვლავ არ ეყოლება.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ მთავრობის მიერ ვერტმფრენების შეძენის საკითხთან დაკავშირებით „ხელმოცარული პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ამორალურ ქმედებას ეწევიან“. ასე უპასუხა მან ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა, 1 წლის წინ დადებული პირობის მიუხედავად, რატომ არ ჰყავს საქართველოს სამაშველო ვერტმფრენები. „ან ინფორმაციის გაგების პრობლემა გაქვთ, ან უფრო მეტი პრობლემა გაქვთ. თქვენ 24 საათი ერთადერთ დავალებას ასრულებთ - ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანის, ჩვენი ხალხის დაზაფრვის. ასეთი რთული მდგომარეობა გვაქვს და თქვენ ათმაგად ზაფრავთ ხალხს. სამარცხვინო სპეკულაციები უნდა დაასრულოთ - თურმე, სამი ვერტმფრენი შეიძინეს, მაგრამ არ შეიძინეს“, - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა. მას ჟურნალისტმა კიდევ ერთი კითხვა დაუსვა: რატომ არ ითხოვა საქართველომ დახმარება მეგობარი ქვეყნებისგან, „ამის საჭიროება არ იყო“, - უპასუხა პრემიერმა ჟურნალისტს.

* * *

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი ამბობს, რომ შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაიწყო. მისი თქმით, გამოძიება მიმდინარეობს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისა და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის მუხლებით. „ინციდენტის პირველივე წუთებში დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება. ორი მუხლით არის საქმე აღძრული, თუმცა გამოძიების მიმდინარეობის დროს შეიძლება გადაკვალიფიცირდეს მუხლები. ასე რომ, გამოძიება, რა თქმა უნდა, დაწყებულია. ორ მუხლზეა საუბარი ამ ეტაპზე“, - თქვა მღებრიშვილმა.

* * *

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სეისმოლოგი თეა გოდოლაძე რაჭის სტიქიას გამოეხმაურა და ყურადღება ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე გაამახვილა. მისი თქმით, ადგილობრივებმაც და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმაც იციან, რომ შოვი მეწყერსაშიში ზონაა და ღვარცოფული მდინარეების პირას კოტეჯების ან სასტუმროების აშენება არასწორია.

გავრცელებულია აზრი, თითქოს სტიქიის ზონაში ყველა შენობა საბჭოთა დროშია აშენებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სასტუმრო „სანსეტ შოვი“, რომელიც ზღვის დონიდან 1600 მეტრზე, თბილისიდან 265 კმ-ში მდებარეობს, სტუმრებს 2013 წლის ივნისიდან მასპინძლობდა. იგი შპს „ფროფერთი მენეჯმენტის“ საკუთრებაა. კომპანია 2012 წელს დარეგისტრირდა.

* * *

სტიქიური უბედურების ზონაში სამძებრო სამუშაოები მე-8 დღეა გრძელდება. 12 დაკარგულის ძებნის არეალი გაფართოვდა, ცოცხალი ძალა და სპეცტექნიკა უკვე 10 სხვადასხვა ადგილას მუშაობს. სტიქიის ზონაში მთავარი საძიებო პერიმეტრი კვლავ კოტეჯების ტერიტორია და მჟავე წყლებისკენ მიმავალი გზაა. ამ დროისთვის შოვის სამძებრო და სალიკვიდაციო სამუშაოებში 400 მაშველია ჩართული. ადგილზეა 90 ერთეული მძიმე ტექნიკა, მათ შორის სპეციალური მანქანები. პროცესში იყენებენ მეტალო-დეტექტორებსაც. სამძებრო სამუშაოებში აქტიურად ჩართულია თავდაცვის ძალებიც.

ბოლო მონაცემებით, 3 აგვისტოს შოვში მომხდარმა სტიქიამ 21 ადამიანი იმსხვერპლა, მათგან მხოლოდ 17-ია იდენტიფიცირებული.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა შოვში მეხანძრე-მაშველების მუშაობის ერთკვირიანი პერიოდი შეაჯამა. „მინდა კიდევ ერთხელ მწუხარება გამოვთქვა და მივუსამძიმრო ოჯახის წევრებს როგორც სამინისტროს, ასევე თითოეული მეხანძრე-მაშველის სახელით და ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, როგორც ადგილობრივს, ისე მოხალისეს, რომლებმაც გამოიჩინეს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და გვამხნევებდნენ ამ პერიოდის განმავლობაში. დიდი გაგებით მოეკიდნენ ჩვენს მოწოდებას, როგორც სტიქიის ზონაში უკონტროლოდ შემოსვლაზე, ასევე დრონების შემოფრენით ღონისძიებებზე“, - განაცხადა მღებრიშვილმა.

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

ტრაგედია, რომელმაც უნდა გვასწავლოს, დაგვაფიქროს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ერთი მძიმე კვირა გავიდა შოვის ტრაგედიიდან, ამბიდან, რომელმაც თითოეული ჩვენგანი შეძრა. მართლაც, საშინელი განცდაა, უყურებდე და უსმენდე მამას, რომელიც შვილებსა და მეუღლეს ეძებს, თვალებზე ცრემლებგაყინულ დედებს, რომლებსაც ჯიუტად სჯერათ, რომ მათი შვილები გადარჩნენ და უვნებელს ნახავენ, მოხუცებს, რომლებმაც ოჯახის წევრები დასასვენებლად გაუშვეს, მათგან კი არაფერი ისმის...

შოვის ტრაგედია დიდხანს ემახსოვრება თითოეულ ქართველს, თუმცა განსაკუთრებით მძიმე კადრებად შემოინახავს მათი მეხსიერება, ვინც უშუალოდ ნახა იქ დატრიალებული საშინელება, ვინც გააშუქა ის ტკივილიანი ამბები. რაჭაში, ადგილზე მომუშავე ჟურნალისტებს შორის იყო ჩვენი კოლეგა საქართველოს საზმაუწყებლის აჭარის ტელევიზიიდან - ***ირინე წუწუნავა,*** *რომელმაც „აჭარასთან“ ისაუბრა იმ მძიმე ფაქტებზე, რამაც ერთ დროს სამოთხედ წოდებული შოვი ჯოჯოხეთად გადააქცია.*

- სამი აგვისტო ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. შეიძლება ითქვას, ბათუმში მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. ვისხედით კოლეგები, ვსაუბრობდით. ამ დროს ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ გვამცნო, რომ რაჭაში - შოვში მეწყერი ჩამოწვა, რომელშიც უამრავი ადამიანი იყო მოყოლილი. როცა მკითხეს, წავიდოდი თუ არა აღნიშნული ფაქტის გადასაღებად, რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს, რადგან მსგავსი სტიქიების და ტრაგიკული შემთხვევების გაშუქების გამოცდილება მაქვს (არამარტო საქართველოში), მოვემზადე და წავედი. ასეთი ამბის გასაშუქებლად რომ მიდიხარ, თითქოს შინაგანად მზად ხარ, გონებას თიშავ, იცი, რომ პროფესიული საქმიანობა ისე უნდა შეასრულო, არ ჩანდეს შენი ემოცია, შიში და პანიკა კიდევ უფრო არ გააღვივო ადამიანებში, რომლებიც შენგან რეალურ, გადამოწმებულ ამბებს ელოდებიან... თუმცა, შეუძლებელია იყო ამხელა ტრაგედიის მნახველი და შეინარჩუნო შინაგანი სიმშვიდე. დაახლოებით ღამის პირველი საათი იყო, როცა სოფელ გლოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მივედით. შოვში ვერ შევიდოდით, რადგან მდინარე - ადიდებული, ერთადერთი შემორჩენილი ხიდი კი დაზიანებული იყო. პირველი, რამაც ემოციურად შემძრა, იმ მამების დანახვა იყო, რომლებიც მაშველებთან ერთად დაგვხვდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და ოჯახის წევრებს ეძებდნენ. ის კაცი, რომელიც სამ შვილსა და ცოლს ეძებდა, პირადად რომ ვნახე, ცრემლებს ვერ ვიკავებდი. გაფითრებული, გაშეშებული იდგა, იქით-აქეთ დადიოდა, არ იცოდა, რა ექნა. კომენტარის დასასრულ მითხრა, რომ აღარ იცოდა, ჰქონდა თუ არა მის სიცოცხლეს ფასი და არც ის, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება. მართლა გავიყინე მის ამ სიტყვებზე, ბევრი დედა მინახავს მსგავს ვითარებაში, მაგრამ მამა - ნაკლებად. იქვე კიდევ ერთი კაცი იდგა და ჩუმად ტიროდა, რომ ვკითხე, ვის ელოდებით-მეთქი, მითხრა, ცოლშვილი მყავს მეც იქო. ვერავინ იკავებდა თავს, მთელი ღამის განმავლობაში უამრავი იდგა იქ, ყველა ტიროდა. დილიდან განახლდა სამუშაოები, მოდიოდნენ ადამიანები, იყო ტირილი, ხვეწნა-მუდარა, რომ იქნებ ვინმეს რაიმე სიახლე ეთქვა გადარჩენილ ადამიანებზე. მოგვიანებით გადავედით ონის სტადიონზე, სადაც შოვის ტყეში ჩარჩენილთა ევაკუაცია დაიწყო. ემოციურად მძიმე ამბებს ყვებოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მიწის მასის მოვარდნის დროს და როგორ შეძლეს გადარჩენა, ერთმანეთზე მიშველება. ალბათ, სიტყვებით ვერ აღწერ, რა ჯოჯოხეთური საათები გამოიარეს ადამიანებმა, ვინც შეძლო და სიკვდილს დაუსხლტა ხელიდან. პატარა ბავშვები, მოხუცები, მართლა სასწაულებრივად გადაურჩნენ მეწყერს. იხსენებდნენ, რომ გაიგონეს საშინელი ხმები, შემდეგ კი დაინახეს, როგორ მოდიოდა მიწის საკმაოდ დიდი მასა, რომელმაც მთლიანად დაფარა შოვის ტყე. შემაძრწუნებელი იყო მამების, დედების ყურება, რომლებიც ვერტმფრენიდან ევაკუირებულ ადამიანებს ფოტოებს აჩვენებდნენ იმ იმედით, რომ იქნებ სადმე ნახეს მათი შვილები, იქნებ მათმა შვილებმაც, ოჯახის წევრებმაც შეძლეს სტიქიისთვის თავის დაღწევა. თუ ვინმე იტყოდა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი თითქოს ნახა, მიამსგავსა, იმედის ნაპერწკალი ჩნდებოდა, სურვილი, რომ მეტი ინფორმაცია მიეღოთ. ეს ადამიანები ბოლო წუთამდე ელოდებოდნენ კარგ ამბავს. მაშველებს ვთხოვე, შოვის მხარეს გადავეყვანეთ. იქ მისულებს საშინელება დაგვხვდა, კატასტროფული მდგომარეობა, იმ ტერიტორიაზე, სადაც კოტეჯები მდებარეობდა, წარმოუდგენელი იყო, ვინმე გადარჩენილიყო. ამ დროს გგონია, დრო გაიყინა, თითქოს ყველაფერი გაჩერდა... ვუყურებდი ამ სურათს და ვცდილობდი, ჩემი ემოციები მეკონტროლებინა, მე ხომ პირდაპირ ეთერში ვმუშაობდი... მძიმე სანახავი იყო ისიც, როგორ მუშაობდნენ პოლიციელები, მაშველები, როგორ ცდილობდნენ ბოლომდე შესვლას და ლაფში ეფლობოდნენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო მოხალისეები, რომლებიც მოდიოდნენ და მოჰქონდათ წყალი, საჭმელი, ჩვენც კი არავის დავვიწყებივართ იმ რთულ პირობებში. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა: რაჭაში სასწაული ხალხი ცხოვრობს, მზად იყვნენ ყველას დასახმარებლად. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩემთვის ძალიან რთული იყო ამ ამბის გაშუქება, თუმცა, ყველაზე მეტად მაშინ განვიცადე ეს ყველაფერი, როცა სახლში დავბრუნდი, რადგან მერე უფრო გავაანალიზე, სად ვიყავი. ჩვენს გადაღებულ კადრებს, სიუჟეტს, ჩართვებს რომ ვუყურე როგორც მოქალაქემ და არა როგორც ჟურნალისტმა, უფრო აღვიქვი, რამხელა ტრაგედიის მოწმე გავხდი იმ დროს და რისი გაშუქება მიწევდა. არასოდეს დამავიწყდება არც იმ მამების, არც დედების სახეები, რომლებიც იქ იდგნენ ერთი იმედით, რომ მათი შვილები ცოცხლები იქნებოდნენ, მოგვიანებით კი იმას ნატრობდნენ, ცხედრები ეპოვათ... შოვის ტრაგედია ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დღედ დარჩება ჩემს ცხოვრებაში... მინდა, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს, ისეთ ქვეყანაში ვიცხოვროთ, სადაც უსაფრთხოება ყველა კუთხით იქნება დაცული, უფრო ორგანიზებულად გამართული სამაშველო სისტემა. მართალია, სტიქიურ მოვლენებს ბოლომდე ვერავინ გათვლის, მაგრამ შესაძლებელია პრევენციული ზომების მიღება და მინდა, ეს ისე მუშაობდეს ჩვენს ქვეყანაში, რომ არცერთი ადამიანი აღარ ემსხვერპლოს მსგავს შემთხვევებს, მით უმეტეს, პატარა ბავშვები, - გვითხრა ირინე წუწუნავამ.

ქრონიკა

3 აგვისტოს კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 7 აგვისტო გლოვის დღედ გამოცხადდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 7 აგვისტოს 00:00 საათიდან 8 აგვისტოს 00:00 საათამდე სახელმწიფო დროშები იყო დაშვებული.

* * *

8 აგვისტოს აჭარის პირველმა პირმა და მთავრობის წევრებმა ბათუმსა და ქობულეთში 8 აგვისტოს გმირთა მემორიალები ყვავილებით შეამკეს. „დღეს ერთ-ერთი უმძიმესი

დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში. პატივს მივაგებთ გმირებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე გასწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის, მისი დამოუკიდებლობისთვის. ქედს ვიხრი მათი გმირობის წინაშე, მათი ოჯახების წინაშე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომავალში თავიდან ავირიდოთ ასეთი ტრაგედიები და მშვიდობიანი, პრაგმატული პოლიტიკით შევძლოთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანება“, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო დროშები მთელი ქვეყნის მასშტაბით დაეშვა.

* * *

ჩვენს ქალაქში უკრაინიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ევროპის მოედანზე შოვში სტიქიის დროს დაღუპული ადამიანების პატივსაცემად სანთლები დაანთეს და ტრაგედიის ამსახველი ფოტომასალები გამოფინეს, ასევე იქაურობა სიმბოლურად ყვავილებით მორთეს. მათი თქმით, ამ ფორმით შოვში გარდაცვლილთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებენ. „უმძიმესი ტრაგედია მოხდა. ვიზიარებთ ოჯახების მწუხარებას. ჩვენ მეგობარ ქართველ ერს გვერდით ვუდგავართ ამ მძიმე წუთებში. ძალიან მძიმე დღეებია, რასაც განვიცდით და

ვლოცულობთ მათზე“, - ითქვა შეკრებაზე.

* * *

პოეტ როინ აბუსელიძის ინიციატივით, ბათუმელებმა (და არამარტო), შოვის სტიქიით დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად თანხა შეაგროვეს, რითაც იმ ნივთებს და პროდუქტებს შეიძენენ, რაც მაშველებს, ასევე შოვში მყოფ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე ადგილობრივ მცხოვრებლებსა თუ მოხალისეებს ესაჭიროებათ. „შევაგროვეთ გარკვეული თანხა, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი კვირის განმავლობაში მაინც უზრუნველყოფს სტიქიის ზონაში მომუშავე ადამიანებს პროდუქტითა და ამა თუ იმ საჭირო ნივთით. ვისურვებ, არასდროს განმეორებულიყოს მსგავსი ტრაგედიები, არასოდეს ეგლოვოთ მშობლებს შვილები. მინდა, ყველა ჩვენგანი უსაფრთხო გარემოში ცხოვრობდეს“, - გვითხრა როინ აბუსელიძემ.

* * *

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაღალი ტემპერატურის დაფიქსირების გამო დაცული ტერიტორიების სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს, ბუნებაში გასვლისას გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება. „კოცონი არსად დაანთოთ, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა (საცეცხლურები); ტერიტორიის დატოვებამდე დარწმუნდით, რომ ცეცხლი ჩამქრალია; არ გადააგდოთ სიგარეტის ნამწვი; არ დააბინძუროთ ბუნება, განსაკუთრებით, თუნუქისა და მინის ქილებით; გაუფრთხილდით გარემოს“, - ნათქვამია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციაში.

* * *

რთველის სუბსიდირება 2023 წელსაც გაგრძელდება და სახელმწიფო კომპანიები დაზიანებულ ყურძენს წელსაც ჩაიბარებენ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2023 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის და/ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს. რთველი - 2023-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საკოორდინაციო შტაბი 24-საათიანი რეჟიმით იმუშავებს. დაინტერესე-

ბულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1501.

* * *

თბილისსა და დელს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა დაიწყო. ინდოეთის უმსხვილესმა ავიაკომპანია Indigo-მ დელი-თბილისი-დელის მიმართულებით პირველი რეისი უკვე შეასრულა, რომლითაც ინდოეთის დედაქალაქში 186 ადამიანი ჩაიყვანა. ავიაკომპანია Indigo რეგულარულ ავიარეისებს საქართველოსა და ინდოეთის დედაქალაქებს შორის კვირაში სამჯერ შეასრულებს. Indigo ინდოეთის ყველაზე მსხვილი ავიაკომპანიაა, რომელიც მის მფლობელობაში არსებული 300-ზე მეტი საჰაერო ხომალდით ყოველდღიურად 1850 ფრენას 111 მიმართულებით ახორციელებს, საიდანაც 79 - ადგილობრივი, 32 კი საერთაშორისოა.

* * *

9 აგვისტოს გამოვლინდა სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის 2023 წლის რაუნდის საგრანტო პროგრამის 1 176 გამარჯვებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს, როგორც სააგენტოში აცხადებენ, გამარჯვებულთა შორის ქალი მეწარმე უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცები.

პროგრამა მიზნად ისახავს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების შედეგად 3 000 ადამიანი დასაქმდება. პროგრამის ფარგლებში საგრანტო თანხის მაქსიმალური მოცულობა წელს 30 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამაში გამარჯვებული მეწარმეების თანამონაწილეობის თანხამ მოთხოვნილი გრანტის თანხის არანაკლებ 20 პროცენტი უნდა შეადგინოს, მაღალმთიან დასახლებებში კი არანაკლებ 10-ისა.

დასავლეთი რომ ბოლომდე დაგვხმარებოდა, როგორ წარიმართებოდა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი?

რუსეთი გაიწევს იქამდე, სანამდეც გაუშვებენ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ძალადობა და ცბიერება რომ გამოარჩევს რუსეთს დანარჩენი ქვეყნებისგან, არახალია, მით უმეტეს საქართველოს მიმართ. ჯერ მე-18 საუკუნის მიწურულს გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, მერე ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, მას არც ე. წ. დემოკრატიული რუსეთი ჩამორჩა - 90-იან წლებში აფხაზეთის ოკუპაცია განახორციელა, 2008 წელს კი საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომი აწარმოეს

უდავოა, რომ კრემლი ამ ომისთვის დიდი ხანია ემზადებოდა და მისი ერთ-ერთი მიზანი იყო, შეეჩერებინა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია, დასავლეთის მხარდაჭერა და, უმთავრესად, ქართული არმიის მედგარი წინააღმდეგობა რომ არა, კრემლი თბილისში მარიონეტულ ხელისუფლებას დასვამდა. სწორედ ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა-ს) პროფესორი ***გიორგი კოზერიძე.***

- აგვისტოში 15 წელი სრულდება, რაც რუსეთმა ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელა ჩვენი ქვეყნის მიმართ. რა მიზანს ისახავდა რუსეთი ამ ომში?

- რუსეთს ერთი მიზანი არ ჰქონდა. თუმცა მისი უპირველესი ამოცანა პრეცედენტის შექმნა იყო ყველასათვის - იგი არ დაუშვებდა ძლიერი, ერთიანი და განვითარებული ყოფილი კოლონიის არსებობას, მით უფრო, თუკი ის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას ცდილობს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველო შესაძლოა სხვებისათვის ისეთივე წარმატების მაგალითი ყოფილიყო, როგორც ჩვენთვის იგივე ესტონეთი ან ლიეტუვა იყო სწორედ მაგ წლებში. რუსეთმა ომითა და ნგრევით სცადა ეჩვენებინა არა მხოლოდ ყოფილი კოლონიებისთვის, არამედ ქართული საზოგადოებისათვისაც, რომ კრემლში ისევ იმპერიულად აზროვნებდნენ და კვლავაც შორს იყვნენ თანამედროვე პოლიტიკიდან. მაშინ ეს დასავლეთმა ვერ დაინახა, ან არ დაინახა. არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ მოსკოვი ნეოიმპერიალისტურ პროექტს ამზადებდა. არადა, ეს იყო მისი მომდევნო მიზანი: რუსეთს სურდა თავის ახლო სამეზობლოში შეექმნა არასუვერენული, მასზე მორჩილი რეჟიმები და სახელმწიფოები, რომელთაც აღარ ექნებოდათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ამისთვის კი ძალის დემონსტრირება ან სრულმასშტაბიანი ომი იყო საჭირო. მეტიც, კრემლში უფრო შორსაც მიდიან და ფიქრობენ, რომ აღნიშნულის წარმატებით განსახორციელებლად სამიზნე სახელმწიფოს დაშლა ან ტერიტორიების ოკუპაცია თუ იქნება აუცილებელი, ესეც უნდა გააკეთონ, ანუ თუკი საქართველოს დასამორჩილებლად არა მხოლოდ ომი, არამედ შემდგომი ოკუპაცია და ამ ტერიტორიების ჩამოცილების მცდელობა იქნება საჭირო, რუსეთი ამასაც სიამოვნებით განახორციელებს. რასაც ახლა ვამბობ, სიახლე ნამდვილად არ არის. იმპერიული პროექტები ყოველთვის ასეთ ქმედებებსა და ლოგიკაზეა აგებული, უბრალოდ, 2008 წელს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე არავის სჯეროდა რომ ამ მენტალობით შეიძლება ემოქმედა რუსეთს.

- ახლა, პრაქტიკულად, ყველა დასავლელი ლიდერი დარწმუნდა, რომ რუსეთი აგრესიული და ოკუპანტი ქვეყანაა, მაგრამ ისმის კითხვა: 2008 წელს დასავლეთი რატომ არ იაზრებდა რუსეთიდან მომავალ საფრთხეს, მით უფრო, რომ ქართული მხარე მაშინ ამის თაობაზე

> ***„საქართველომ დასავლეთს უნდა მოსთხოვოს სრულმასშტაბიანი მხარდაჭერა ყველა სფეროში - სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, „ხომ გეუბნებოდით?!“ და მოვითხოვოთ ყველა საჭიროების დაკმაყოფილება, რომელიც გაგვაძლიერებს. როგორც ცნობილია, რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო ნაკლებად სურს აგრესიულ ძალას შენთან დაპირისპირება***

დღენიადაგ საუბრობდა?

- დასავლურ პოლიტიკურ სისტემას არც ადრე და ახლაც არ აკლია იდეალისტი პოლიტიკოსები. ისინი კი ხვდებოდნენ, რომ რუსეთი არ იყო დასავლური ტიპის მოთამაშე, მაგრამ არც იმის დაჯერება სურდათ, რომ ევროპული სახელმწიფოების გვერდით კვლავ არსებობდა ნეოიმპერიალისტური ძალა, რომელსაც ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა სურდა, სადაც სუვერენული სახელმწიფოები დაკარგავდნენ უფლებას, თავად აერჩიათ საკუთარი საგარეო თუ საშინაო განვითარების გზა. მაშინ საქართველო რუსეთის პირველი სამიზნე იყო და არ იცოდნენ, როგორ ეპასუხათ, ამან წაახალისა რუსეთი სირიაში და უკრაინაში აგრესიისთვის, ხოლო აფრიკის კონტინენტზე „ვაგნერის“ მეშვეობით რუსული ტერორის მთელი ქსელი შეიქმნა. გვიან მიხვდა დასავლეთი, როგორი ძალაა რუსეთი. ვიცით, აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს ყოველთვის ბევრად უკეთ ესმოდათ რუსეთის აგრესიის, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

- 2008 წლის დასაწყისში საქართველოსთვის მაპი რომ მოეცათ, რუსულ აგრესიას ავცდებოდით?

- რუსეთს მხოლოდ ძალის ეშინია. თავად საბჭოთა და რუსულ სამხედრო თუ სადაზვერვო დოქტრინებში ომის გზით მიზნის მიღწევა უკიდურეს საშუალებად იყო წარმოდგენილი. მას მიზნის მიღწევა, თუ ეს შესაძლებელია, შიდა არეულობით, სანქციებით, გადატრიალებებით, მუქარით, საბოტაჟით, მესამე ძალის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა გზით ურჩევნია, ვიდრე უშუალოდ ომის დაწყებით. ზოგადად, ჰიბრიდული ომის დოქტრინის კონცეფციაც ამაზეა აგებული - ომი უნდა მოიგო, სანამ საბრძოლო მოქმედებების დაწყება დაგჭირდება. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთს ორი მიზანი ჰქონდა - საქართველოსა და სხვა მოთამაშეთათვის ნეგატიური პრეცედენტის შექმნა საქართველოს სახით და ნეოიმპერიალისტური პროექტის წამოწყება. 2010 წელს უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის მოსვლით რუსეთმა ამ მიზანს მიაღწია - უკრაინამ დესუვერენიზაცია დაიწყო: დაიშალა ჯარის დიდი ნაწილი, შეიცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი, შემცირდა ევროპასთან ეკონომიკური თანამშრომლობა, კიდევ უფრო გაძლიერდა კორუფცია, გადაიხედა ევროკავშირთან ურთიერთობები, დაიწყო შიდა პოლიტიკური ძალადობა და ყველა ოპოზიციური ძალის დევნა. რუსული სპეცსამსახურები უკრაინაში თავისუფლად მოქმედებდნენ, გაძლიერდა რუსული ენის სტატუსი, ქვეყანა მომზადდა რუსეთის გავლენის სფეროში დასაბრუნებლად. 2014 წლისათვის უკრაინა იმდენად უუნარო სახელმწიფო იყო, რომ როგორც კი რუსეთს შანსი მიეცა, ლამის ნახევარი ქვეყანა შთანთქა. მაშინ ძალიან გაუმართლა კიევს, რომ უკრაინაში ბევრი თავდადებული ინდივიდი გამოჩნდა, ვინც თავად მოახდინა სამშობლოს გამათავისუფლებელი ძალების ორგანიზება. ახლა თქვენს მთავარ კითხვას დავუბრუნდები - რუსეთი ყოველთვის ცდილობს, ომის გარეშე მიაღწიოს მიზანს, მაგრამ თუ ამისთვის ომი გახდა საჭირო, აუცილებლად დაიწყებს. რისი ეშინია რუსეთს? ძალის, სხვა არაფრის, რაკი დარწმუნებულია, რომ რეგიონში ყველაზე ძლიერია და სხვებს ეშინიათ მისი. რუსეთის მიდგომა ასეთია: გავიწევი იქამდე, სადამდეც გამიშვებენ. კრემლმა 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ჩათვალა, რომ მაპის არმიღება საქართველოსთვის იყო სიგნალი მისთვის, რომ შეეძლო, განეხორციელებინა სრულმასშტაბიანი, სადამსჯელო და ნეოიმპერიალისტური ომით გამოჭრილი პოლიტიკა. საქართველოს რომ მიეღო მაპი, კრემლში ასე თავისუფლად ვეღარ იმოქმედებდნენ, რადგან მათ ეშინიათ პოტენციური ძალის... მაგრამ ეს არ იყო პირველი ომი. რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 1990-1993 წლებში სულ ამაზე აგებდა საკუთარ პოლიტიკას: უნდა დასჯილიყო საქართველო საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გამო. შემდეგ, მთელი 90-ნი და 2000-ნი წლების პირველი ნახევარი ამას აკეთებდა - ხან პანკისს ბომბავდა, ხან რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ყრიდა იქიდან, ხან სანქციებს გვიწესებდა, ხან შიდა არეულობას უწყობდა ხელს და ასე შემდეგ. მაინც ვერ შეეხო საქართველოს სუვერენიტეტს.

- როგორ შეიძლება შეფასდეს ევროპისა და აშშ-ის პოზიცია ომამდე და შემდეგ პერიოდებში?

- თავდაპირველად, ვერც აშშ-მა და ვერც ევროკავშირმა (გარდა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისა) ამ ომისაგან ბევრი ვერაფერი ისწავლეს. მეტიც, ვინაიდან 2008 წელს რუსეთის არმიამ თავისი სისუსტეები გამოავლინა, დასავლეთში ჩათვალეს, რომ იგი არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც ვერ დაამარცხებდნენ. 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ მიხვდნენ, რომ 2008 წელს შეცდნენ. რუსეთთან რბილმა პოლიტიკამ მხოლოდ კონტრპროდუქტიული შედეგები მოიტანა.

- გახდა თუ არა საქართველო დიდი პოლიტიკის მსხვერპლი? მაგალითად, აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები (კონდოლიზა რაისი) აღიარებენ, რომ ნავთობზე ფასების აწევა შეცდომა იყო...

- ზოგადად, ასეთი იმედი არსებობდა: ეკონომიკურად გამდიდრებული რუსეთი არ მოინდომებს კარგი ცხოვრების ეჭვქვეშ დაყენებას და იმპერიის მშენებლობას, მაგრამ დასავლეთში მაშინ ჯერაც არ ესმოდათ, რომ რუსეთში ამ სიმდიდრეს სწორედ აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის გამოიყენებდნენ. მენტალიტეტი და ისტორიის შეფასება იყო, რაც განასხვავებდა მოსკოვს დასავლეთისგან. დასავლეთში იმპერია თავისი სამხედრო და პოლიტიკური ნიშნებით წარსული იყო, ახლა ეკონომიკურ სიმდიდრესა და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე უნდა ეფიქრათ, ხოლო რუსეთისთვის ეკონომიკური აღმავლობა სწორედ იმპერიის ამა თუ იმ ფორმით აღდგენის დამხმარე საშუალება გახლდათ.

- ბევრი ქართველი (დასავლელიც) ანალიტიკოსი აცხადებს, რომ 2008 წელს დასავლეთი უფრო კრიტიკული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, მსოფლიო რუსეთ-უკრაინის ომის მომსწრე არ იქნებოდა...

- ასეა. თუკი რუსეთი დაისჯებოდა საქართველოში შემოჭრისთვის, ეთნიკური წმენდისათვის, ქართული სოფლების განადგურებისთვის, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვისა და მასობრივი ძარცვისთვის, 2014 წელს ვეღარ გაბედავდა, რაც გააკეთა. დაუსჯელობა კვებავს აგრესიას.

- იმ პერიოდში რუსული პროპაგანდა ამტკიცებდა, თითქოს ქართულმა მხარემ გენოციდი მოუწყო ოსებს, რეალურად კი ქართველთა ეთნოწმენდა მოხდა, რაც დაადასტურა არაერთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

- ცნობილი მეთოდია: მოწინააღდეგეს უნდა დააბრალო, რის გაკეთებასაც თავად აპირებ ან რაც უკვე გააკეთე. რუსეთი სწორედ ასე მიუდგა ამ საკითხს. მან მოაწყო მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ქართული სოფლების დაწიოკება და ამას ჯერ კიდევ 7 აგვისტომდე ჩადიოდა პერმანენტული იერიშებით ქართულ სოფლებზე. ამასთან, 1-4 აგვისტოს მთელი ოსური მოსახლეობა გაიყვანეს სამაჩაბლოს დიდი თუ მცირე დასახლებებიდან. პრაქტიკულად, ყველაფერი სამხედრო ობიექტად იყო ქცეული და ყოველდღიურად კიდეც იბომბებოდა ქართული პოზიციები 29 ივლისიდან მოყოლებული. თავად ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა 2008 წლის ბოლოს, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ 2006 წლის ბოლოს დაიგეგმა. შემდეგ ნათელი გახდა, რომ გენოციდი კი არა, სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი თითქმის არ იყო რუსეთის მიერ ზურგგამაგრებულ სეპარატისტულ ძალებში.

- ახლა დასავლეთი, გარკვეულწილად, გამოფხიზლდა - რუსეთს დაუწესა ეკონომიკური სანქციები. მას კიდევ რა ბერკეტები აქვს?

- პოლონელებმა 2018 წლიდან სერიოზული სამხედრო გადამზადება და გადაიარაღება დაიწყეს. ახლა ნელ-ნელა მთელი ევროპა ამ გადამზადებისა და გადაიარაღების პროცესშია, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკურ აქტივობასაც უწყობს ხელს, რადგან სამხედრო წარმოება არა მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი კვანძია, არამედ ექსპორტისას მასზე მოთხოვნა ყოველთვის მაღალია. დასავლეთმა ამ მიმართულებით ორი რამ უნდა გააკეთოს: შეაიარაღოს უკრაინა და ის სახელმწიფოები, რომელთა უსაფრთხოებასაც ახლა ნატო არ იცავს, მათ შორის საქართველო და თავად გაძლიერდეს შიგნიდან.

- ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია. ამ მხრივ ქართული მხარის პოლიტიკა რამდენად თანმიმდევრულია და დასავლეთს რისი გაკეთება შეუძლია?

- საქართველომ დასავლეთს უნდა მოსთხოვოს სრულმასშტაბიანი მხარდაჭერა ყველა სფეროში - სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, „ხომ გეუბნებოდით?!“ და მოვითხოვოთ ყველა საჭიროების დაკმაყოფილება, რომელიც გაგვაძლიერებს. როგორც ცნობილია, რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო ნაკლებად სურს აგრესიულ ძალას შენთან დაპირისპირება. რაც მეტი მოკავშირე გეყოლება, მით უფრო შემცირდება ამ აგრესიის შანსი. რუსეთმა 2008 წელს იმიტომაც იჩქარა, რომ დრო მასზე არ მუშაობდა და საქართველოს სამხედრო ძალები ძლიერდებოდა. სამხედრო რეფორმა სულ რაღაც 4 წლის იყო 2008 წელს. მომდევნო წლებში შეიძლება ბევრად დიდი რესურსის დახარჯვა დასჭირვებოდა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ. ყველა მიზანს თავისი ფასი აქვს, ამიტომ რაც უფრო მეტ ფასს აქცევ, ეკონომიკური და პოლიტიკური. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, „ხომ გეუბნებოდით?!“ და მოვითხოვოთ ყველა საჭიროების დაკმაყოფილება, რომელიც გაგვაძლიერებს. როგორც ცნობილია, რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო ნაკლებად სურს აგრესიულ ძალას შენთან დაპირისპირება. რაც მეტი მოკავშირე გეყოლება, მით უფრო შემცირდება ამ აგრესიის შანსი. რუსეთმა 2008 წელს იმიტომაც იჩქარა, რომ დრო მასზე არ მუშაობდა და საქართველოს სამხედრო ძალები ძლიერდებოდა. სამხედრო რეფორმა სულ რაღაც 4 წლის იყო 2008 წელს. მომდევნო წლებში შეიძლება ბევრად დიდი რესურსის დახარჯვა დასჭირვებოდა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ. ყველა მიზანს თავისი ფასი აქვს, ამიტომ რაც უფრო მაღალი ფასის გადახდა უწევს მოწინააღმდეგეს შენს დასამარცხებლად, მით მეტს ფიქრობს ამაზე, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თუკი საქართველოსთვის რუსეთს შეუძლია გაიღოს 500 ტანკი, უკრაინისათვის შეუძლია გაიღოს 5000. თუკი დაინახავს, რომ საქართველოსთვის მას 5000 ტანკის განადგურება მოუწევს, ის ამ ნაბიჯის გადადგმამდე მეტს იფიქრებს. ამის საუკეთესო მაგალითი შვეიცარიაა. მეორე მსოფლიო ომში „ოპერაცია თანენბაუმი“ შვეიცარიის დაპყრობას გულისხმობდა, მაგრამ როდესაც ნაცისტური გერმანიის გენერალურ შტაბში აღმოაჩინეს, რომ გერმანიას პატარა შვეიცარიის დასაპყრობად სამხედრო ძალების ის რაოდენობა დასჭირდებოდა, რამდენიც საფრანგეთისთვის დასჭირდათ, ეს ოპერაცია გააუქმეს.

- ექსპერტთა ნაწილის აზრით, უკრაინაში ომი დიდხანს გაგრძელდება და დასავლელი ლიდერები შეეცდებიან, უკრაინა გარკვეულ კომპრომისზე დაიყოლიონ რუსეთთან მიმართებით...

- რადგან სასწორზე მსოფლიო წესრიგის სტაბილურობა დგას, სავარაუდოა, რომ რუსეთის დამარცხების ან ომამდელ პოზიციებამდე გასვლის გარდა, ნებისმიერი სხვა სცენარი ამ წესრიგს საფრთხის ქვეშ დააყენებს და დამპყრობლურ ომებს ნორმად აქცევს. ცხადია, მოლაპარაკებებს შეიძლება ჰქონდეს რაიმე შედეგი, მათ შორის რუსეთის დაყოლიება ჯარების გაყვანაზე, მაგრამ ამის მიღწევა დასავლეთის მხრიდან უკრაინისთვის უწყვეტი სამხედრო დახმარების გარეშე ნაკლებად შესაძლებელია, ამიტომ ჯერჯერობით რაიმე ზეწოლა უკრაინაზე ნაკლებად სავარაუდოა.

- დაბოლოს, უკრაინის უპირობო გამარჯვების შემთხვევაში რამდენად მოსალოდნელია, რუსეთმა ახალი აგრესია განახორციელოს „სამეზობლოში“ და ჩვენმა ქვეყანამ რა უნდა გააკეთოს, რომ მისი აგრესიის ობიექტი არ გახდეს?

- რუსეთი ამ ომში იმდენად გამოიფიტა, რომ მობილიზაცია დასჭირდა ფრონტის ხაზის შესაკავებლად. შემტევი ნაწილები დასუსტებულია. ტანკების სერიოზული დეფიციტი აქვს, ომში თუ დამარცხდა, მას ახალი ომის თავი დიდხანს აღარ ექნება. ეს არ ნიშნავს, რომ იგივე ბელარუსის ანექსიას არ შეეცდება, რომელშიც ისედაც დგას, მაგრამ ახალი აგრესიის დასაწყებად ქვეყანას ხანგრძლივი მომზადება სჭირდება და ეს ერთ ღამეში არ ხდება ხოლმე.

ბროლის ბუ პირველად „დასახლდა“ ბათუმში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

მარიამ კორინთელი მეუღლესთან ერთად გამომცემლობის „წიგნები ბათუმში“ დამფუძნებელი, რედაქტორი, მთარგმნელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ლიტერატურული გადაცემა „ბიბლიოთეკის“ წამყვანი და ახლა უკვე ელიტარული ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ საუკეთესო მოთამაშე და, შესაბამისად, ბროლის ბუს მფლობელია.

- აჭარის ტელევიზიაში მიგყავთ გადაცემა „ბიბლიოთეკა“, რომელიც ძალიან პოპულარულია...

- გადაცემა 8 წლის წინ დაარსდა. ზოგადად, რთულია, ლიტერატურული და ნებისმიერი სახელოვნებო გადაცემა მასშტაბურად პოპულარული გახდეს. მკითხველთა წრე ჩვენს ქვეყანაში ისედაც საკმაოდ ვიწროა, მაგრამ გადაცემამ ამ წლების განმავლობაში ნამდვილად მოახერხა ერთგული და არც ისე მცირერიცხოვანი აუდიტორიის შეძენა. ვფიქრობ, ეს მთელი გუნდის პასუხისმგებლობის შედეგია.

- ცხადია, ამ გადაცემაში წიგნებს მიმოიხილავთ. რომელია თქვენთვის სათაყვანებელი?

- ბუნებრივია, 35 წლისა იმ წიგნებს აღარ ვეთაყვანები, რომლებსაც - 15 და 25 წლის ასაკში. ამ კითხვაზე ყოველთვის მიჭირს პასუხის გაცემა, რადგან სათაყვანებელი წიგნების სია ათწლეულებში კი არა, ლამის წლიდან წლამდე მეცვლება. მუდმივსა და უცვლელს დავასახელებ - წაკითხვის დღიდან განუყრელად თან მდევს და არაერთხელ მივბრუნებივარ - უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარებას“. ამ ეტაპზე შერვუდ ანდერსონის „უაინსბურგი ოჰაიოს“ დავასახელებ.

- ამბობენ, ადამიანმა თუ შვიდი დღე წიგნი არ წაიკითხა, ინტელექტუალურად ქვეითდებაო. ასეა?

- არ ვიცი, ვინ ამბობს და რა მეცნიერულ მტკიცებულებებს ემყარება ეს აზრი, მაგრამ, ვფიქრობ, სრული სისულელეა.

- მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ხართ... კიდევ რა შედის თქვენი ინტერესების სფეროში - რა გიტაცებთ?

- ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გამომცემლობაა. თამამად ვიტყვი, რომ ჩვენმა გამომცემლობამ ათასობით ადამიანს კითხვა შეაყვარა, ამიტომ ჩემს საქმიანობაზე საუბარს ყოველთვის და ყველგან გამომცემლობით დავიწყებ. სოციალური როლებიდან უპირატესობას არცერთს მივანიჭებ, ყველა მნიშვნელოვანია და წიგნიერების გავრცელებას ემსახურება. გატაცებას რაც შეეხება, უამრავი რამ მიტაცებს, მაგალითად, სპორტის რამდენიმე სახეობა, ცეკვა და სხვა.

- თქვენ გაიმარჯვეთ ელიტარული ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ პროექტში და გადმოგეცათ ბროლის ბუ...

- ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?“ ათობით წელს ითვლის და უამრავ ადამიანს აერთიანებს, მათ შორის იმათაც, ვისაც ეკრანებზე ვერ ვხედავთ. მეც ძალიან დიდი ხანი - დაახლოებით 20 წელია, ვთამაშობ ამ კლუბში. ბროლის ბუ უმაღლესი ჯილდოა და მისი მიღება ალბათ ყველა მოთამაშის სურვილია. არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. ძალიან გახარებული ვარ, განსაკუთრებით იმით, რომ ბროლის ბუ პირველად „დასახლდა“ ბათუმში. მგონია, ის სიყვარული, რაც ამ ქალაქმა მომცა, თითქოს დავუბრუნე - ასეთი შეგრძნება მაქვს.

- ელოდით ბროლის ბუს დასაკუთრებას?

- ეს თამაში იმითაა მიმზიდველი, რომ წინასწარ ვერაფერს გათვლი. გარდა ამისა, უძლიერეს გუნდში ვთამაშობ, ნამდვილ ინტელექტუალურ მონსტრებში, რომელთაგან ნებისმიერი იმსახურებს ამ ჯილდოს. არც ძალიან შოკისმომგვრელი ყოფილა, რადგან თუ თამაშობ, ალბათ, სადღაც იმასაც უშვებ, რომ შესაძლოა მოიგო.

- ზოგადად, ადამიანმა იცის, რა შეუძლია?

- ვფიქრობ, რომ ჩვენი შესაძლებლობები სრულად სიტუაციურად ვლინდება.

- რა გაძლევთ ცხოვრების სტიმულს?

- შვილები.

- სულიერი ცხოვრება როგორ გესმით?

- ჩემთვის სულიერი ცხოვრება შესაძლებლობების ფარგლებში სიკეთის კეთება და ემპათიაა. როგორც შემიძლია, ვცდილობ, ავი სიტყვა არ ვთქვა და კარგი საქმე ვაკეთო.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- ოჯახსა ან მეგობრებთან ერთად, სხვადასხვაგვარად... რადგან ბევრი რამ მაინტერესებს, კონკრეტული სქემა არ მაქვს.

- თქვენთვის გამორჩეული პოეტი...

- ამ ეტაპზე მიყვარს ცისფერყანწელების შემოქმედება.

- ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანში და რას ვერ აპატიებთ?

- ყველაზე მეტად უბრალოებას და თანაგრძნობის უნარს ვაფასებ. პატიებით ყველაფრის პატიება შემიძლია, სრულიად გულწრფელად ვამბობ ამას.

- როგორც ლექტორს, ლიტერატორს, მინდა, გკითხოთ, რამდენად ნაკითხია ჩვენი სტუდენტობა და რამდენად კარგად აანალიზებენ წაკითხულს? და აქვე - ემოციური ინტელექტი რამდენად განვითარებულია მათში?

- ზოგადად, წიგნიერების პრობლემა გვაქვს მოსახლეობაში. თუ სტუდენტი არ არის ნაკითხი, ამაში მას ვერ დავადანაშაულებ - ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. პირველ რიგში ის, რომ წიგნები ძალიან ძვირია. ბიბლიოთეკაში გადამისამართება არ არის შედეგის მომტანი, რადგან წიგნადი ფონდები საჭირო სიხშირით არ ახლდება. გარდა ამისა, სტუდენტების უმრავლესობას თავის სარჩენად მუშაობა უწევს, ამ ვითარებაში, ასეთ მძიმე სოციალურ ფონზე როგორ შეიძლება, დამუნათების ტონით ვისაუბროთ ახალგაზრდის ნაკლებად ნაკითხობაზე?! ჩემთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. როდესაც ვიცხოვრებთ აყვავებულ სახელმწიფოში, სადაც წიგნი ფუფუნების საგანი კი არა, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება, გვექნება ყველა რესურსი (შემოსავალი, დრო, მენტალური სიჯანსაღე) საკითხავად და მაინც არ წაიკითხავენ, მერე ვიჩხუბოთ და დავამუნათოთ სტუდენტები, მანამდე - არა. სამსახურში ფეხზე დგომით ქანცგამწყდარ და ლექციაზე გათენებული ღამიდან მოსულ სტუდენტს წიგნის წაუკითხაობას ვერ ვუსაყვედურებ, თუმცა, რასაკვირველია, ვოცნებობ, ჩემი ყველა სტუდენტი კითხულობდეს. ეს დიდი და სასიკეთო ცვლილებების გარანტია იქნებოდა.

- ამ ეტაპზე, უფრო მეტ განათლებას ისურვებდით თუ მეტ გამოცდილებას?

- მეტ განათლებას. გამოცდილება მაინც ინდივიდუალური ამბავია, განათლება კი არასდროსაა საკმარისი.

- თავად რა კითხვას დაუსვამდით საკუთარ თავს და რას უპასუხებდით?

- ვკითხავდი, დასვენებას გეგმავს თუ არა და... პასუხს ვერ მივიღებდი.

- რომელია სიტყვა, რომელიც თქვენთვის მთელი ცხოვრების ლაიტმოტივად გამოდგება?

- სიყვარული.

გოგონა ზურგჩანთით, რომელსაც უკვე საკუთარი „სოფელი“ აქვს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარაში არ მეგულება სოფელი, სადაც ნათია თავდგირიძეს არ იცნობენ. მან 23 წლის ასაკში დაიწყო საავტორო გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ კეთება და აგერ უკვე 11 წელია, გვამოგზაურებს ულამაზეს ადგილებში, გვაცნობს სხვადასხვა კუთხის უძველეს ტრადიციებსა და კულტურას

„ერთი დღე სოფელში“ ყოველ შაბათს, 22 საათზე, აჭარის ტელევიზიის ეთერში გადის. მას ბევრი მაყურებელი ჰყავს, რასაც სატელევიზიო რეიტინგიც ადასტურებს. ბოლო 2 თვეა, გადაცემის ავტორი და წამყვანი სხვა ამპლუაშიც მოგვევლინა. ნათია თავდგირიძემ საკუთარი „სოფელი“ ააშენა - ოცნება აიხდინა და ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში კოტეჯები ჩადგა, სადაც უკვე მასპინძლის ამპლუაში ხვდება დამსვენებლებს. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მან „აჭარასთან“ ისაუბრა.

- ქალბატონო ნათია, თქვენს გადაცემაზე გვესაუბრეთ...

- „ერთი დღე სოფელში“ უკვე მე-11 წელია, გადის ეთერში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემა აჭარის მაუწყებელზე და აქვს საკმაოდ დიდი ისტორია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მაყურებელს ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავაცანით, ბევრს დავეხმარეთ საკუთარი საქმიანობის წარმოჩენასა და განვითარებაში. ვფიქრობთ, ეს არის სახალხო პროექტი და ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამასთან, ერთ-ერთი ყველაზე საჭირო პროექტია, რომელმაც დროს გაუძლო და რომელსაც დღემდე უყურებს ძალიან ბევრი მაყურებელი. ქუჩაში ხშირად ვხვდები ადამიანებს, რომლებიც მეუბნებიან, რომ ამ გადაცემაზე გაიზარდნენ. ალბათ, მათი ბებიები და ბაბუები გვიყურებდნენ და ბავშვებიც ავტომატურად გვიმახსოვრებდნენ, უსმენდნენ და შეიყვარეს, გაიცნეს მათი კუთხის ისტორია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

- 11 წლის განმავლობაში უამრავი გადაცემა გაგიკეთებიათ. რომელი იყო ყველაზე საყვარელი და დასამახსოვრებელი თქვენთვის?

- ყველა გადაცემა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია... და მაინც გამოვარჩევ აჭარის ულამაზეს სოფლებს, რომლებიც გავაცანით ფართო საზოგადოებას. ასევე, ეკოტურიზმის განვითარებასაც შევუწყვეთ ხელი. ჩვენი გადაცემების ნახვის შემდეგ ბევრი ტურისტული საagენტო და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანი დაინტერესდა ამ თუ იმ სოფლის ღირსშესანიშნაობებით. ბევრი დაბრუნდა სოფელში. ძალიან მიხარია, რომ თუ წლების წინ სოფლად ცხოვრება არ იყო მოდური, დღეს უკვე ჟურნალისტიკაშიც კი პოპულარულია სოფელზე მომზადებული სიუჟეტი და გადაცემა. ჩვენ ავსახავთ უბრალო ადამიანის ყოფა-ცხოვრებას. აჭარის რეგიონის გარდა, დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლებში, თუმცა გამოვყოფდი თუშეთს, სადაც მისასვლელი გზა ერთ-ერთი რთული და სახიფათო იყო - დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად 11 საათი დაგვჭირდა. ეს არ იყო მარტივი, მაგრამ ამად ღირდა და მისი სილამაზის ნახვა და მაყურებლამდე მიტანა. ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ბევრი მუშაჯირის გული გავახარეთ, როცა ვიმოგზაურეთ თურქეთის ათობით საინტერესო სოფელში. არაერთხელ ვესტუმრეთ ჩვენებურებს. ვიყავით ესპანეთში და ეს იყო საინტერესო მოგზაურობა. მოვინახულეთ ორი სოფელი. იმდენად კარგად იყო სიძველე ამ ადგილებში შემორჩენილი, რომ სიხარულს ვერ ვმალავდი. მინდა ჩვენი სოფლები ევროპულ სოფლებს დაემსგავსოს. იქ უამრავი ტურისტი მოგზაურობს.

- წელს თქვენს გადაცემას წლის პროექტის ჯილდო გადაეცა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს აღიარება?

- დიახ, ქართული ბრენდის დღეზე მოგვანიჭეს, როგორც წლის პროექტს, „ქართული ბრენდის“ ტიტული. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღიარება ჩემს ცხოვრებაში, რადგან სრულიად უცხო ადამიანებმა შეგვამჩნიეს და აღმოგვაჩინეს. სამწუხაროდ, აქამდე არცერთ გადაცემაში ან პროექტში არ მოვხვედრილვართ და დაუჯილდოებივართ, ნომინაციაშიც არ ვყოფილვართ. ეს ცოტა გულსატკენია, რადგან ამით უფრო მეტ მოტივაციას მოგვცემდნენ. ხშირად ვამბობდი და ვამბობ, რომ ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის მაყურებლის უანგარო სიყვარულია, რაც 11 წელია, თან მდევს. ეს უდიდესი შრომის შედეგია, რასაც ჩემს ჯგუფთან ერთად მივაღწიე. გაგიკვირდებათ და, მხოლოდ ოპერატორი, მძღოლი და მემონტაჟე ვართ. ამის მიუხედავად, ჩვენმა გადაცემამ დროს გაუძლო და უკვე სოციალურ ქსელში 82 ათასი აქტიური გამომწერი გვყავს.

იხ. მე-7 გვ.

1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ვასრულებთ ბათუმში 1937-38 წლებში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიის გამოქვეყნებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ სიას „აჭარის ა რ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ, რათა რეპრესირებულთა შთამომავლები გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე - 595721416, იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან. სულ სიაში 1050 ადამიანია. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „აჭარას“ 80, 81, 82, 83, 84 ნომრებში.

დახვრეტის თარიღი - 14/03/1938

752. ჩხიკვაძე ვლადიმერ იოსების ძე
753. გრიგოლია ალექსი დავითის ძე

დახვრეტის თარიღი - 15/03/1938

754. ანდღულაძე ილარიონ იასონის ძე
755. აბაშიძე ისმაილ ხუსეინის ძე
756. ალეკპეროვი ჰუსეინ ალეკპერის ძე
757. აშრაფიანი ფილიპე ივანეს ძე
758. ასატურიანი არუთუნ გიორგის ძე
759. ბატტი მიხაილ მიხაილის ძე
760. ბულეიშვილი გერასიმე პეტრეს ძე
761. გოგიჩაიშვილი ბესარიონ ანტონის ძე
762. გოლიაძე პართენ ამბაკოს ძე
763. გაგუა სერაპიონ სიმონის ძე
764. ვერეშკო ანტონ ანტონის ძე
765. გობრონიძე ირაკლი გიორგის ძე
766. გორდელაძე გიორგი იოსების ძე
767. ერშოვი ევგენი ვასილის ძე
768. ჟულჩენკო სიმონ დიმიტრის ძე
769. კრომლიდი ფილიპე გიორგის ძე
770. ლოპატინი ტიმოფეი პროკოფის ძე
771. მხჩიანი არამ გრიგოლის ძე
772. მანჯგალაძე (პოპოვა) მირა ვალერიანის ასული
773. რუსეიშვილი ირაკლი მოსეს ძე
774. ტოლმაჩევი დემიანე ფიოდორის ძე
775. ტანტ-ოღლი მევლუდ ახმედის ძე
776. თოდუა ლეონიდე სიმონის ძე
777. ხარაიშვილი სიმონ დავითის ძე
778. ხალვაში აბდულ ისკენდერის ძე
779. ცეცხლაძე რიზა თემურის ძე
780. ცინცაძე გრიგოლ მაქსიმეს ძე
781. ჩაგანავა ნილოსი მელიტონის ძე
782. ჩხაიძე გედევან ქიშვარდის ძე
783. ნიკოლეიშვილი ნიკოლოზ თაყას ძე

დახვრეტის თარიღი - 19/03/1938

784. გურსკი პაველ ფიოდორის ძე
785. კარვოვსკი კონსტანტინ რომანის ძე
786. სედივანსკი სერგეი ალექსანდრეს ძე
787. ზაკრჟევსკი ვიქტორ ივანის ძე
788. ვანაძე (პაცალი-ოღლი) შაჰია დურსუნის ძე
789. მიქელაძე ნური იუნუსის ძე
790. ტარიელაძე დაუდ ოსმანის ძე
791. ჭაღალიძე სელიმ სულეიმანის ძე
792. ნაკაშიძე ალი იუსუპის ძე
793. დიასამიძე აჰმედი მერჯანის ძე
794. კასპაროვიჩი ვლადიმერ სიმონის ძე
795. სარქისოვი ხაჩიკ ისააკის ძე
796. აბხაზ-ოღლი (ცენტერაძე, ან ფარტენაძე) ომარ ხურშუტის ძე
797. ფუტკარაძე ისკენდერ ომერის ძე
798. დაუდ ოღლი ასლან მევლუდის ძე
799. აბაშიძე მურთაზ ხასანას ძე
800. გენჯალი ოღლი მუჰამედ ოსმანის ძე
801. დუმბაძე თალიბ ტიარას ძე
802. დუმბაძე ოსმან ჰუსეინის ძე
803. კახიძე ეშრეფ ქიბარის ძე
804. დაუდ ოღლი ჰასან მუსტაფას ძე
805. ტანტ ოღლი ოსმან იბრაგიმის ძე
806. ხაჯი ოღლი ისმაილ იბრაგიმის ძე
807. ცივნარიძე თალიბ ესრეტალის ძე
808. ჩხიკვაძე მემედ ალი მუსას ძე
809. შიშმან ოღლი მემედ ომერის ძე

დახვრეტის თარიღი - 23/03/1938

810. ნაკაშიძე პელულ აჰმედის ძე

დახვრეტის თარიღი - 26/03/1938

811. ღლონტი ვლადიმერ გიტოს ძე
812. ქარსელაძე ვლადიმერ მიხეილის ძე
813. ნიკოლაიშვილი გრიგოლ მოსეს ძე

დახვრეტის თარიღი - 20/04/1938

814. დაუდ ოღლი აკიფ ალის ძე
815. ჯაფარიძე რემზი ხურშუტის ძე
816. ქემალ ოღლი მუედინ აჰმედის ძე
817. ცინცაძე მემედ ალი შაქირის ძე
818. კარმილ ოღლი ფერათ ხასანის ძე
819. პელიუდ ოღლი ჯევაირ მაკსუტის ძე
820. დერვეტ ოღლი ნური იუსუფის ძე
821. რეშიდ ოღლი ჯემალ გუსეინის ძე
822. დემურალ ოღლი ალი მუჰამედის ძე
823. მალაყმაძე დაუდ რასიმის ძე
824. თიკანაძე ჰუსეინ დაურის ძე
825. შარაძე მურთაზ ზაბიტის ძე
826. თავდგირიძე ჰასან ხუსეინის ძე
827. კახიძე მემედი ტუფანის ძე
828. ტერ-მაჯიანი გევორქ ოგანეზის ძე
829. მოლ ოღლი ჰასან
830. ნაკაშიძე (რეჯებ ოღლი) ჰასან მუხამედის ძე
831. მხიტორიანი (მხიტარიანი) ბაღდასარ ალგოტის ძე
832. ახმედ ოღლი ოსმან აჰმედის ძე
833. ხუსეინ ოღლი იბრაგიმ ჰასანის ძე
834. კანჯ ოღლი აჰმედ მამედისძე

დახვრეტის თარიღი - 25/04/1938

835. თავაძე ნიკოლოზ გრიგოლის ძე
836. თურმანიძე მევლუდ ალის ძე
837. რალცევიჩი ელენე მიხაილის ასული
838. გრიგოლია მელქისედეკ ლუკას ძე
839. დუმბაძე ისმაილ კუჩუკის ძე
840. მჟავანაძე სულეიმან ისმაილის ძე
841. გიორგაძე არიფ ქემალის ძე
842. კოვალენკო ივანე სტეფანეს ძე
843. ავდეევი პავლე ვასოს ძე
844. სოროკინი ალექსანდრე გრიგოლის ძე
845. შარაშიძე ზაქარია ერმილეს ძე
846. აბაშიძე დავით კონსტანტინეს ძე
847. შერვაშიძე რამიზ ზეკერის ძე
848. ამუზ ოღლი გულ აჰმედ გულახმედის ძე
849. კალანდაძე ამბროსი ალმასხანის ძე

დახვრეტის თარიღი - 30/04/1938

850. ნაჭყებია ისააკ ბეჟუკოს (ბეჟანის) ძე
851. ასათიანი ვალერიან (ვალიკო) კაპიტონის ძე
852. მაჩიხინი ივანე ილიას ძე
853. ფუკსი ანატოლი ილიას ძე
854. გობიჩავა კალისტრატე მანუკის ძე
855. მგელაძე ივანე ანდრიას ძე
856. კობოლაძე (ქობულაძე) ანტონ იაკობის ძე
857. უზუნბაჯიკიანი მარტიროს მინასის ძე
858. კარმინსკი დავითი-მოსე აარონის ძე
859. ჩილიკიდი ქრისტოფორე იზრაილის ძე
860. ძამოროკო ბორის იოსების ძე
861. ბოკვერაძე ლუკა გიორგის ძე
862. სოხაძე თეოფილე ერასტის ძე
863. სვანიძე დავით გიორგის ძე
864. ტყეშელაძე ილარიონ ოქროპირი ძე
865. თავაძე ვიქტორ მაქსიმეს ძე
866. ჩიხლაძე აბესალომ დავითის ძე
867. კახაძე ჰუსეინ შუგების ძე
868. ჯორბენაძე აჰმედ იშიგოს ძე
869. დაუენგაუერი ანტონ მარკის ძე
870. ბაჯელიძე ოსმან ალის ძე
871. ცატურიანი ვაგრიჩ არუთინის ძე
872. მდოიანი აშოტ იოსების ძე

დახვრეტის თარიღი - 06/05/1938

873. დეისაძე ივანე ეროდიონის ძე
874. ილიაშენკო კონსტანტინ სტეფანეს ძე
875. ნადარეიშვილი პავლე დიმიტრის ძე
876. ჭედია ვიქტორ იგორის ძე
877. ლაბუნსკი ვიქტორ ვალენტინის ძე
878. ბოჯგუა იაკიმე პეტრეს ძე

დახვრეტის თარიღი - 11/05/1938

879. ხოროშვილი სულეიმან პერადის ძე
880. ბერიძე ისაკ ინუსის ძე
881. არველაძე მიხეილ იაკიმეს ძე
882. აკოპოვი მიხაილ იაკობის ძე
883. აბრამოვი გიორგი არკადის ძე
884. გედენიძე ნიკოლოზ თევდორეს ძე
885. განდელიძე ისკანდერ ხაჯის ძე
886. ბურჭულაძე ივანე ინისიმეს ძე
887. ბოცვაძ თეოფანე სპირიდონის ძე
888. ვარშალომიძე აჰმედი კარაგის ძე
889. ვარშანიძე მუჰამედი ხასანის ძე
890. გობაძე ყადირ აღა შაქირის ძე
891. მეგრელიძე მიხეილ მალაქიას ძე
892. მამუჩაძე თეოფიკე ისმაილის ძე
893. მჟავანაძე მურად ემინის ძე
894. ჯორბენაძე გერმანე თომას ძე
895. საპიცკი ვლადიმერ კონსტანტინის ძე
896. თურმანიძე ალიჯანა დებიჯანის ძე
897. თოფურიძე ილია კონსტანტინეს ძე
898. ფიშმანი გრიგოლი იაკობის ძე
899. ხარაძე სულეიმან ეფფენდი შაქირის ძე
900. ხოშორაძე კენდერი ხურშუდ ოღლი
901. შავაძე ახმედი იუნუსის ძე
902. დიასამიძე გუმიშალი ჰასანის ძე
903. ჯორბენაძე გედევან (გერმან) მაქსიმეს ძე
904. დევაძე მემედ ოსმანის ძე
905. დავითაძე ტოფუზ აღა ველი ოღლი
906. ძნელაძე მემედი ალი ოსმანის ძე
907. ლევჩენკო ლეონტი (ლეონიდი) პროკოფის ძე
908. კუკულინი მიხაილ ივანეს ძე
909. კვაჭაძე ილია დიმიტრის ძე
910. ქათამაძე მეჯიდა ოსმანის ძე
911. ლეპტურგიდი ნიკოლოზ ივანეს ძე
912. ებერიუსი კუზმა ვასილის ძე
913. კახიძე აბდულა ხასანის ძე
914. კაკაბაძე ოსმან ულფანის ძე
915. ზაქარაძე ზაბიტა კემბერის ძე
916. კაკაბაძე ჰასან შერიფის ძე
917. ლეონიძე სულეიმან იბრაგიმის ძე
918. მახნევი პეტრე გაბრიელის ძე
919. მაკი ვასილი დანიელის ძე
920. ფუტკარაძე კელეში ჰუსეინის ძე
921. დუმბაძე შუქრი ხასანის ძე
922. დუმბაძე ხულუს მამედის ძე
923. მაკალათია არტემ ეგორის ძე
924. ცეცხლაძე დაუდა აღა დურსუნის ძე
925. ცეცხლაძე დურსუნ ახმედის ძე
926. ქოქოლაძე სულეიმან შირინის ძე
927. კახიძე აჰმედ მევლუდის ძე
928. კურდ ხასან ოღლი ოსმან ხუსეინის ძე
929. მალაკნიძე საიდ მემედის ძე

დახვრეტის თარიღი - 15/05/1938

930. შავაძე ეშრეფ იუსუპის ძე

დახვრეტის თარიღი - 20/05/1938

931. იურჩუკი ვლადიმირ ვართანის ძე
932. ჩერნიაკინი კონსტანტინ ივანეს ძე
933. ჩიმაკაძე შალვა ერასტის ძე
934. სვირიდი ვასილი გრიგორის ძე
935. მოროზოვი ბორის ივანეს ძე

დახვრეტის თარიღი - 24/05/1938

936. მუტი ოღლი შემშეკ ისმაილ მამედის ძე
937. მოფრინაძე ოღლი რეჯეფ სულეიმანის ძე

დახვრეტის თარიღი - 26/06/1938

938. გრიმი ლევი იულიანის ძე
939. კრატუნოვი ილია ნიკოლოზის ძე
940. კრუტიკი ელიაზარ ვოლფის ძე
941. კუტუბიძე აკაკი ვლადიმერის ძე
942. ლოხაჩევი ფეოფილა ეფიმოს ძე
943. სტუპინი ანდრეი გრიგოლის ძე

დახვრეტის თარიღი - 14/07/1938

944. ამირიდი ფიოდორ ნიკოლოზის ძე
945. ბასტიანოვი ივანე გიორგის ძე
946. კეს ოღლი გიორგი აპოსტოლიც ძე
947. მალჩევი მიხაილ ფიოდორის ძე
948. მოსაიდი მოსე იორდანეს ძე
949. საულიდი კონსტანტინ ივანეს ძე
950. ტრაგუნადაკი დიმიტრი ფროლის ძე
951. ჩაკიდი ნიკოლაი კონსტანტინის ძე
952. დიმიტრიადი ლეონიდ პანაიეტის ძე
953. კასიმიდი ანგელ კონსტანტინის ძე
954. კესის ოღლი პანაიეტ ივანეს ძე
955. კოტიდი დმიტრი პანტელეიმონის ძე
956. მავიდი ქრისტეფორე პანაიეტის ძე
957. ანასტასიადი სტავრო კონსტანტინის ძე
958. ვასილიადი ზახარი ივანეს ძე
959. ფუნდოპულო აპოსტოლ გიორგის ძე
960. კალომინიდი ანესტი შტავროს ძე
961. კარაფულიდი ეროსტატ აპოსტოლის ძე

დახვრეტის თარიღი - 26/07/1938

962. ბერიძე ასლან ეფენდი არიფის ძე
963. გორაძე ჰუსეინ სულეიმანის ძე
964. ტანტ ოღლი ჰუსეინ რაჯების ძე
965. სულეიმან ოღლი მამედ იაკუბის ძე
966. კაზან ოღლი ალი იბრაგიმის ძე
967. ბიბეროვი ნიკოლაი ივანის ძე
968. ბიტნერი იური მარტინის ძე
969. ბაშკოვი ფიოდორ გიორგის ძე
970. გენჩევი ნიკოლაი ივანის ძე
971. გრებლევი ივანე გიორგის ძე
972. გრებლევი მიხაილ ანტონის ძე (დახვრეტამდე გარდაიცვალა ბათუმის ციხეში)
973. გლაუდანი მიხაილ სტანისლავის ძე (დახვრეტამდე გარდაიცვალა ბათუმის ციხეში)
974. მალჩევი ივანე იონას ძე
975. დზენისი ემილ ანდრეის ძე
976. მილჩევსკი ანდრეი ათანასეს ძე
977. მილჩევსკი ივანე გიორგის ძე
978. პეევი სტეფანე მიხაილის ძე
979. პერევეზოვი ვასილი ივანეს ძე
980. რუბჩევ ფედორ ვასილის ძე
981. სტოიჩევი ივანე აფანასის ძე
982. ფუკლევი გიორგი სტეფანეს ძე
983. ჩერნოკალსკი ალექსი გიორგის ძე
984. კერუნევსკი ადამ ივანე ძე
985. კრიშევსკი ივანე ტიმოფეის ძე
986. ლოს იური იურის ძე
987. ხაცია ტომას პავლეს ძე
988. ჩოჩოიანი აშოტ ნერსესის ძე
989. ალი-ზადე აბასი
990. სალმანი ალი ოღლი
991. ალმენდიგერი ალბერტ ფრიდრიხის ძე
992. გალფინგერი ავგუსტ ვასილის ძე
993. დარშტი ეგორ ეგორის ძე
994. ავრამიდი კონსტანტინ თომას ძე
995. ანასტასიადი პეტრე კონსტანტინის ძე
996. აფანასიადი ივანე შტავროს ძე
997. ვაფიადი ხარლამპი სპირიდონის ძე
998. გრიგორიადი ხაჯი-სტავრო პანაიეტის ძე
999. დიამატიდი სტავრო ივანეს ძე
1000. დიმიტრიადი არისტიდ დიმიტრის ძე (დახვრეტამდე გარდაიცვალა ბათუმის ციხეში)
1001. ეფრემიდი სოტირ დემოსფენის ძე
1002. ილიოპულო ალექსანდრე ილიას ძე
1003. კაპაიანიდისი პარასკევა თომას ძე
1004. კეს ოღლი აქილევს შტავროს ძე (დახვრეტამდე გარდაიცვალა ბათუმის ციხეში)
1005. კეს ოღლი ევკლიდე კონსტანტინის ძე
1006. კონსტანტინიდი პეტრე გიორგის ძე
1007. კუფაჯიდი ქრისტეფორე დემიანის ძე
1008. კუციდი აპოსტოლ დიმიტრის ძე
1009. პარასკევოპულო დიმიტრი კონსტანტინის ძე
1010. პეტრიდი ანტონ დიოგენეს ძე
1011. პაპანდოპულო ფედორ სემიონის ძე
1012. ტაკიდი არისტიდ ფედორას ძე
1013. ტამვაკოსი პარასკევა ქრისტეფორეს ძე (დახვრეტამდე გარდაიცვალა ბათუმის ციხეში)
1014. ფალასანიდი ანგელ შტავროს ძე
1015. ფომაიდი ლაზარე პავლეს ძე
1016. ხალკოპულო ივანე პანაიეტის ძე
1017. ცომბლიანიდისი სტოკრატ ონუფრის ძე

დახვრეტის თარიღი - 02/08/1938

1018. ანდრონიკიდი კონსტანტინ ივანეს ძე
1019. მოსეტინი იაკიმ ანდრეის ძე
1020. საპჩუკი ვალენტინე ალექსის ძე
1021. იურაშიკი იოსებ ანტონის ძე
1022. ბეერი ლავრენტი ივანეს ძე

დახვრეტის თარიღი - 21/09/1938

1023. გული ნაზიმი ასლან ოღლი
1024. ხოჯა სადიყ სულეიმან ოღლი

დახვრეტის თარიღი - 03/10/1938

1025. აზიზ ოღლი აბასი აზიზის ძე
1026. უშარიძე რუსტემ ემინის ძე
1027. უშარიძე კარიმან ოღლი ბინალი კარიმანის ძე
1028. უშარიძე აჰმედ მურადის ძე
1029. შარაშიძე უზიერ ოღლი ქემალ რეუდების ძე
1030. ფელიქს-გროზიტი რუდოლფ პეტრეს ძე

დახვრეტის თარიღი - 08/10/1938

1031. კრაპივიანსკი ვიქტორ ივანეს ძე
1032. ელაგინი ვიქტორ არკადის ძე
1033. პენიაკი ალექსანდრე სტეპანეს ძე

დახვრეტის თარიღი - 16/10/1938

1034. ალანია შოთა ყარამანის ძე
1035. ღლონტი ამირან ათანასეს ძე
1036. გინდინი ისაკ გრიგოლის ძე
1037. დიასამიძე შუქრი ხასანის ძე
1038. ზაქარიაძე ისმაილ ყედემის ძე
1039. ზახარენკო ანატოლი გიორგის ძე
1040. ნიკოლაევი ვლადიმირ ტიტოს ძე
1041. პარამანოვი მიხაილ მოსეს ძე
1042. ფაინშტეინი მარია დავითის ასული
1043. შანდინი ალექსანდრე ფიოდორის ძე
1044. ელიბეშ ოღლი იბრაგიმ ახმედის ძე
1045. ებრალიძე თამარ ერმალოს ასული

დახვრეტის თარიღი - 29/10/1938

1046. ქავთარაძე მუსტაფა კეიდიბეკ შაკირის ძე
1047. ქათამიძე ოზდემირ შალი მემედის ძე
1048. გორგილაძე აბდულა დაუდის ძე
1049. სტადნიკი კარპ გრიგორის ძე

დახვრეტის თარიღი - 26/11/1938

1050. ისმაილ ოღლი აჰმედ შარიკის ძე

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი «აჭარა» №№80, 81, 82, 83, 84.

აჭარისწყლის ხეობაში საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობა ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან იწყება

სოფელ ჯაბნიძეების არქეოლოგიური ექსპედიცია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეებში არქეოლოგიური სამუშაოები 10 დღეს მიმდინარეობდა და მას ცნობილი მეცნიერები ტარიელ ებრალიძე და ნარგიზ სურმანიძე ხელმძღვანელობდნენ. ექსპედიციის საქმიანობაზე „აჭარაში“ უკვე დაიწერა, ეს ინტერვიუ კი ტარიელ ებრალიძესთან ჩავწერეთ, რომელშიც მეცნიერმა კოლეგა ნარგიზ სურმანიძის თვალსაზრისიც გამოხატა.

- აჭარა მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, აქაური მიწის წიაღში მრავალი საიდუმლო ინახება. სწორედ აქ იქადაგა ქრისტიანობა პირველად ანდრია პირველწოდებულმა. სამწუხაროდ, ჟამთა სვლამ მათი დიდი ნაწილი ნანგრევებად აქცია, ნაწილი კი მთლიანად გაანადგურა. მათ შესახებ ცნობები ზოგჯერ მწირ წერილობით წყაროებში ან კიდევ მოსახლეობის მეხსიერებასა და ტოპონიმებშია შემონახული.

- რა იყო ამ ექსპედიციის არსი?

- საზოგადოების ყურადღება გვინდა მივაპყროთ პატარა ტაძრის ნაშთებს, რომლებიც სოფელ ჯაბნიძეებშია შემორჩენილი. იგი მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტში, მარეთის ხეობის, კერძოდ, მდინარე ჩირუხისწყლის მარცხენა და მის შენაკად ტბეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე, რიკიხეთიდან სხარნარის გორის წვერამდე, დაბა შუახევიდან დაახლოებით 10 კილომეტრის, ხოლო ბათუმიდან 76 კილომეტრის დაშორებით. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი შედის უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში: ჯაბნიძეები, ტბეთი, გოგაძეები, ცინარეთი, ლაკლაკეთი, სამოლეთი, წაბლანა და ოთხი უბნისაგან შედგება: ქაშვეთი, ქვედა სოფელი, გორა, ვერხვანა. არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ ჯაბნიძეების ნაეკლესიარის შესწავლისთვის ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევითა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით. წელს გაგრძელდა როგორც ნაეკლესიარის შესწავლა, ასევე მასთან არსებული სამაროვნის კვლევა, რომელზეც გადატანილი იყო ძირითადი სამუშაოები. ძეგლი მდებარეობს უბან ქაშვეთში, ეგრეთ წოდებულ კომაკეთის სერზე. პროფესორი იური სიხარულიძე აღნიშნავდა, რომ ამ სერზე მიკვლეულია ძველი ნაგებობის ნაშთები, რომელსაც მოსახლეობა „ნაქილისვარს“ უწოდებს. კომაკეთის სერი სოფლის სკოლის დასავლეთით მდებარე პატარა ქედია, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თანდათან მაღლდება



მცირე ნაშთები, დანარჩენი მონაკვეთი მთლიანად დაფარული იყო მიწით. სამაროვნის ტერიტორიაზე მიმოფანტულია ან გაზიდულია ეკლესიის ქვების დიდი ნაწილი. ადგილობრივებს დანგრეული ეკლესიის საპირე ქვები სოფლის „ქვედა ცენტრში“ არსებული მეჩეთის ბალავრისა და სარდაფის გასამართად გამოუყენებიათ. საგანგებოდ დავითვალეთ 150-ზე მეტი კარგად დამუშავებული კვადრები. მათ შორის გვხვდება კაპიტელის ქვა. ასევე ყურადღებას იქცევს კვადრი, რომელზეც წრეში ჩასმული ბოლნური ჯვარი უნდა ყოფილიყო გამოსახული. ჯვარი მთლიანად ბასრი საგნითაა საგანგებოდ წაშლილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გრაფიკულად აღვადგინოთ ჯვრის ფორმა.

- პირველი სიახლე რა იყო?

- ნაეკლესიარის აღმოსავლეთით, სამაროვნის ტერიტორიაზე მიმობნეულ ქვებს შორის, ადგილობრივმა მკვიდრმა ვლადიმერ

სხარნარის წვერომდე. დღეს ამ ქედზე სოფლის ძველი (ქრისტიანული) და ახალი სამაროვანია წარმოდგენილი.

- საწყის ეტაპზე რა დაგხვდათ?

- ნაეკლესიარი კომაკეთის სერის სამხრეთ ნაწილში, ყველაზე დაბალ ადგილას ყოფილა აგებული. არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე, ვიზუალური დათვალიერებითაც შეინიშნებოდა, რომ ნაგებობა ძლიერ იყო დაზიანებულ-დანგრეული, ზედაპირულად ჩანდა ადგილობრივი რიყის ქვებითა და კირხსნარით ნაგები შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი (აფსიდის) და დასავლეთი კედლის

მუკუტაძემ მიმდინარე წლის აპრილში, გაწმენდითი სამუშაოების დროს, შემთხვევით იპოვა ასომთავრულწარწერიანი ქვის ფრაგმენტი, რომლის მეორე ნაწილი ჩვენი ექსპედიციის დროს აღმოვაჩინეთ. ქვაზე ამოკვეთილია მოკლე სავედრებელი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე ბასილი და მისნი შვილნი“. ვფიქრობთ, რომ ბასილი უნდა იყოს ეკლესიის მშენებელი.

- ეს ბასილი ხიხანის ციხის ხუროთმოძღვარი ხომ არ იყო?

- გამორიცხული არაფერია, მაშინაც და დღესაც ყოველ კუთხეში ტაძრებს ცნობილი ხუროთმოძღვრები აშენებენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ნაეკლესიარი სხვადასხვა დროს გამხდარა მოყვარულ არქეოლოგთა კვლევის ობიექტი. წინა საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივი სკოლის პედაგოგებს ძეგლის ტერიტორიაზე ჩაუტარებიათ „არქეოლოგიური გათხრები“, რომლის დროს აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი სასკოლო მუზეუმში განუთავსებიათ. სამწუხაროდ, მოგვიანებით სკოლის შენობა დაიწვა და ნივთიერი მასალაც მასთან ერთად განადგურდა.

- რა გაირკვა არქეოლოგიური მუშაობის პროცესში?

- გაირკვა, რომ ეკლესიის ნგრევის შედეგად კედლის ნაშთები მორღვეულია როგორც შენობის შიდა, ასევე გარეთა, განსაკუთრებით - ჩრდილოეთ მხარეს, სადაც ქვებთან ერთად შეინიშნებოდა ხანძრის კვალიც. ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობა ყოფილა. მისი შიდა სივრცის ზომებია 7x3,90 მეტრი, ხოლო გარე სივრცის - 8,4x5,4 მეტრი წაგრძელებული სწორკუთხედი. შედგება დარბაზისა (ზომები - 4,8x3,9 მ) და ნახევარწრიული აფსიდისაგან (2,2x3,5 მ), რომელიც სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. საკურთხეველი ეკლესიის დარბაზის სწორხაზოვანი კედლებისაგან ოდნავ გამოყოფილ-გამოკვეთილია და მისი სივრცე გაცილებით ნაკლებია. შენობის სამხრეთი დარბაზის კედელი, საიდანაც ეკლესიას შესასვლელი უნდა ჰქონოდა, საძირკვლამდეა დანგრეული. გადარჩენილია დასავლეთის, ჩრდილოეთისა და აფსიდის კედლის რამდენიმე რიგი. სარკმელი, სავარაუდოდ, აფსიდის შუა ხაზზე უნდა ყოფილიყო გაჭრილი. ეკლესიის საძირკვლად გამოყენებულია გათლილი, 55-60 სმ, 110-120 სმ სიგრძისა და 10-15 სმ სისქის მართკუთხა ფორმის ქვის ფილები. სამხრეთით დაფიქსირდა ორსაფეხურიანი ცოკოლი. დაცული ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ცოკოლზე აღმართული კედლის გარეთა და შიგა ზედაპირი (პერანგი) კარგად დამუშავებული გათლილი კვადრებითაა ამოყვანილი (ზომებია: 70x35 სმ; 40x30სმ; 15x25 სმ), წყობა წესიერია, ხოლო მათ შორის სივრცე კირხსნარითა და ნატეხი ქვებითაა შევსებული. საძირკველი კედელთან შედარებით ფართოა და იგი კედლის ორივე მხარეს ოდნავ გაზიდულია. იატაკი დაგებულია სხვადასხვა ზომის ბრტყელი ქვებითა და კირხსნარით, დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან შემორჩენილია მისი მცირე ფრაგმენტი, საკურთხევლის იატაკი კი თიხატკეპნილია. საკურთხევლის აფსიდში დაცულია ვერტიკალურად ჩადგმული მოგრძო, ბრტყელი ფორმის დამუშავებული ქვები. არ გამოვრიცხავთ, რომ ქვების ერთი ნაწილი გამოყენებული ყოფილიყო დასაჯდომად, ხოლო ერთ ნაწილზე ტრაპეზის ქვა იდო.

- გაწმენდითი სამუშაოები რა ფორმით მიდიოდა?

- ეკლესიის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთ კედლის გასწვრივ საძირკვლის დონეზე გაიწმინდა მოზრდილი ქვები, რომლებიც წარმოადგენდნენ არქიტექტურულ დეტალებს. ყურადღებას იქცევს კარისა თუ სარკმლის საპირე ქვების ნიმუშები, თაღისებური ფრაგმენტები. ქვებს შორის ერთი სწორედ ზემოთ აღნიშნული ტრაპეზისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. როგორც ჩანს, ეკლესიის დანგრევის შემდეგ ეს ქვები კედლის გარეთ გადაუყრიათ.

- დასკვნა როგორია?

- არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ ეკლესიის აღმოსავლეთითა და სამხრეთით გამართული ყოფილა სამარხები, რომლებიც პირდაპირ ეკლესიის გარე კედელთან იწყება. მიცვალებული დაკრძალულია დასავლეთიდან აღმოსავლეთის ხაზზე. ამ ეტაპზე შესწავლილია 13-მდე ორმოსამარხი, შეინიშნება სამარხში ნივთების - ჯამების, სასმისების ჩატანების ნიშნებიც. ერთი სამარხი და ორი ქვევრი, მათ შორის ერთი სრულადაა გადარჩენილი, ნაეკლესიარის შიდა სივრცეშია წარმოდგენილი. გადარჩენილი ქვევრიდან წვიმის დროს დაგროვებული 200 ლიტრამდე წყალი ამოვტუმბეთ. იგივე ზომისა უნდა ყოფილიყო მეორე ქვევრიც. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, ჯამები, სასმისები. ყურადღებას იქცევს აფსიდში, იატაკის დონეზე აღმოჩენილი სასანთლისა თუ საკმევლის თიხის ფეხიანი ჭურჭელი, ქვევრის პირ-ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტები, ფაიანსის ფინჯანი. კერამიკის გარდა გვხვდება ლითონის ნაწარმიც, კერძოდ, რკინისა და ბრინჯაოს ჯვარი, რკინის დანისებური იარაღი, ბრინჯაოს ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები და სხვა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარისწყლის ხეობაში საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობა ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან იწყება. პირველი ეკლესია სოფელ დიდაჭარაში ანდრია პირველწოდებულმა აგო. ეკლესიების მშენებლობას ფართო ხასიათი განვითარებულ ფეოდალურ ხანაში მიუღია. კერძოდ, X-XI საუკუნეებიდან საქართველოს სხვა კუთხეებისა და ხეობების მსგავსად, აქაც ფართოდ გაშლილა ციხე-კოშკების, თაღოვანი ხიდების, საეკლესიო თუ სხვა ნაგობობათა მშენებლობა. თურქოფილობის დროს, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, რეგიონში აქტიურად იწყება ქრისტიანული ხუროთმოძღვრული საკულტო ნაგებობების განადგურება. ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, იჩეხებოდა ვაზი... დანგრეული ეკლესიის ქვები გამოიყენებოდა მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობაში ან ეკლესიის საძირკველზე ზემოდან მეჩეთია დაშენებული კვალის გაქრობის მიზნით. აჭარაში არ არის სოფელი, დასახლებული უბანი, სადაც არ იყოს ნაეკლესიარი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიაც კი ფიქსირდება (ფურტიო, დარჩიძეები...). მოსახლეობა ხშირად გვაწვდის ინფორმაციას, მოგვმართავს თხოვნით, რომ მათ სოფელში ვაწარმოოთ არქეოლოგიური სამუშაოები. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას გადავუხდით აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, რომელიც ყურადღების, რეაგირების გარეშე არ ტოვებს მოსახლეობის თხოვნას და უზრუნველყოფს არქეოლოგიურ სამუშაოებს. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობას, მის თავმჯდომარეს ბატონ როსტომ ლორთქიფანიძეს, კომისიის თავმჯდომარეს, ამავე სოფლის მკვიდრ თენგიზ ივანაძეს, ჯაბნიძეების საჯარო სკოლის დირექტორს ჯემალ ივანაძეს, სოფლის მოსახლეობას, გამორჩეულად რევაზ და გულიკო ნატარიძეების ოჯახს გამოჩენილი მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის. ჩვენც განზრახული გვაქვს, ყოველწლიურად ვაწარმოოთ არქეოლოგიური სამუშაოები და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ჩვენი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, უტყუარი არტეფაქტები.

„ ნაეკლესიარი კომაკეთის სერის სამხრეთ ნაწილში, ყველაზე დაბალ ადგილას ყოფილა აგებული. არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე, ვიზუალური დათვალიერებითაც შეინიშნებოდა, რომ ნაგებობა ძლიერ იყო დაზიანებულ-დანგრეული, ზედაპირულად ჩანდა ადგილობრივი რიყის ქვებითა და კირხსნარით ნაგები შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი (აფსიდის) და დასავლეთი კედლის მცირე ნაშთები, დანარჩენი მონაკვეთი მთლიანად დაფარული იყო მიწით

ვარსკვლავური აგვისტო – ბათუმში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აგვისტოში, ტემპერატურასთან ერთად, იზრდება ცხოვრების რიტმიც. ბათუმი თითქმის ყოველდღე მასპინძლობს როგორც ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს, ასევე მსოფლიოში აღიარებულ ჯგუფებს

სხვადასხვა კლუბსა თუ საკონცერტო სივრცეში იმდენად მრავალფეროვანი არჩევანია, ნებისმიერი მუსიკალური გემოვნების ადამიანი კმაყოფილი დარჩება. ამჯერად, „სთეიჯ 17“-მა, მულტიფუნქციურმა საკონცერტო სივრცემ, რომელიც წელს გაიხსნა და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, გახმოვანებით, ბელგიურ ჯგუფ „Konoba“-ს უმასპინძლა. „Konoba“ ბრიუსელში დაფუძნებული ალტერნატიული მიმდინარეობის დუეტია, რომელიც მელანქოლიური ვოკალისა და პოპ-მელოდიების ერთობას წარმოადგენს.

- წლების წინ არაფერი ვიცოდი საქართველოს შესახებ, თუმცა 2017 წელს, როდესაც პირველად ვესტუმრე თქვენს ქვეყანას, აღვფრთოვანდი და ეს იყო საუკეთესო მომენტი ჩემს ცხოვრებაში. მას შემდეგ ხშირად ჩამოვდივარ და განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს საქართველოსთან. მადლობა ქართველ მსმენელს სითბოსა და სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, საოცარი ხალხი ხართ, - გვითხრა „Konoba“-ს სოლისტმა.

შემდეგ სცენა ბრიტანულმა ჯგუფმა „Morcheeba“-მ დაიკავა, რომლის მუსიკაც ტრიპ-ჰოპის, ელექტრონიკის, ალტერნატიული როკის ჟანრებს მოიცავს. ჯგუფის სოლისტ Skye Edwards-ის საოცარმა ხმამ, ენერგიულმა მოძრაობებმა კიდევ უფრო მეტი ენერგია და მუხტი შემატა საღამოს.

- მადლობა „სთეიჯ 17“-ს, რომ მომეცა შესაძლებლობა, მომესმინა ჩემი საყვარელი ჯგუფისთვის „Morcheeba“. აღსანიშნავია ჯგუფის ენერგიული და უმშვენიერესი სოლისტის განსაკუთრებულობა, სულ სხვა ემოცია მოაქვს, სულ სხვანაირად განთებს და ცეკვის სურვილს გიმძაფრებს. მიხარია, რომ ბათუმში ვარ და მაქვს შესაძლებლობა, ჩემთვის საყვარელ მუსიკოსებს მოვუსმინო. პირველად ჯაზფესტივალზე მარკუს მილერის მოსასმენად ვეწვიე ამ საკონცერტო სივრცეს. დღეს მეორედ ვარ და მინდა ვთქვა, „სთეიჯ 17“ აკმაყოფილებს ყველა თანამედროვე სტანდარტს. აქ დამონტაჟებული განათებები თუ გახმოვანების აპარატურა მართლაც გიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ესწრები ევროპული დონის კონცერტს, - გვითხრა დათი ასანიძემ.

საღამო ჰიპ-ჰოპის ქართველმა შემსრულებელმა ტატო რუსიამ დაასრულა, რომლის მუსიკალური პროექტები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ პოპულარობით სარგებლობს.

საბა სურმანიძე მსოფლიო ვიცეჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სტამბოლში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი 17-წლამდელთა შორის წარმატებული გამოდგა მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენისთვის - საბა სურმანიძემ, რომელიც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მხოლოდ ფინალი დათმო და მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ მან კადეტებს შორის მანამდე კიდევ რამდენჯერმე მოახერხა საპრიზო ადგილებზე გასვლა - ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ საბასა და მის მწვრთნელ მარად აბულაძეს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას და მორიგ წარმატებას ვუსურვებთ!

განცხადება

გოგონა ზურგჩანთით, რომელსაც უკვე საკუთარი „სოფელი“ აქვს

მე-4 გვერდიდან

- დავამატებ, რომ გადაცემა „ერთი დღე სოფელში“, რომელიც სოფელ ფურტიოში გადაიღეთ და უხუცესების ცეკვა იყო ასახული, ცნობილმა რეპერმა სნუპ დოგმა საკუთარ ინსტაგრამის გვერდზე ატვირთა. მას 14 მილიონი ნახვა ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი და საინტერესო მოგზაურობა გველის, ახლა კი თქვენს საკუთარ „სოფელში“ გვამოგზაურეთ.

- მეუღლის დახმარებით ორი თვის წინ ავიხდინე ოცნება და ქედის პირველ სოფელ დოლოგანში გავხსენით კოტეჯები, რომელსაც „ერთი დღე სოფელში“ დავარქვით. ყოველთვის მინდოდა, მქონოდა სოფელი და ჩამედგა სახლი. მას შემდეგ, რაც ოჯახი შევქმენი, მეუღლეს სულ ვეუბნებოდი, სოფელი ავიშენოთ და ჩვენი კუთხის სიყვარული შვილებს ჩავუნერგოთ-მეთქი. მის სოფელში, სადაც მიწის ნაკვეთი გვქონდა, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით ავაშენეთ კოტეჯი. კონკურსში გავიმარჯვეთ და მივიღეთ დაფინანსება. ერთი - მათი დახმარებით და მეორე ჩვენი ფინანსებით ავაშენეთ. ეს არ იყო მარტივი. ყოველდღე გვიწევდა სოფელში სიარული, მაგრამ ამად ღირდა. დღეს ვინც ნახულობს, ყველა აღნიშნავს, რომ ჩვენთან მყუდრო გარემოა და სიყვარული იგრძნობა. გვაქვს ულამაზესი ეზო, მთისა და მდინარის ხედები. ამ სოფელში აქამდე არასდროს ყოფილა ტურისტული ადგილი, თუმცა უკვე დაიწყო მოსახლეობამ ამ კუთხით ფიქრი. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ნამდვილად დიდი წვლილი შევიტანეთ დოლოგანში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობაში. გვსტუმრობენ უცხოელი ვიზიტორები. ბუნებრივი სილამაზის იქით ვცდილობთ, ვანახოთ მიმდებარე ლოკაციები. ამაზე თავად ვზრუნავ. მიხარია, რომ გოგონამ ზურგჩანთით, რომელიც სხვადასხვა სოფელში დადიოდა, უკვე საკუთარი ტურისტული ლოკაცია შექმნა.

- წარმატებებს გისურვებთ! დასასრულ გეგმებზეც გვესაუბრეთ...

- ვფიქრობთ საოჯახო ბიზნესის განვითარებას, გაფართოებას. გვსურს, მოვაწყოთ ტრენინგის სივრცეები, ივენთები - ამის საშუალებას ჩვენი ეზო ნამდვილად იძლევა. ვაპირებთ, დავამატოთ კოტეჯები, რადგან მოთხოვნა მაღალია. გპირდებით, აუცილებლად ვიქნებით ერთ-ერთი საუკეთესო მასპინძლები აჭარაში და ჩვენს კუთხეს არ შევარცხვენთ.

გახსენება

ელგუჯა ჩაგანავა

მიილია 40 ცრემლიანი დღე, შენ კი, ძვირფასო ელგუჯა, სასუფეველში დაიმკვიდრე ბინა, ცრემლი და მონატრება კი ისევ დარჩა. როგორც ჩანს, დრო ყოველთვის არ ყოფილა მკურნალი...

ჩვენო დაუვიწყარო ელგუჯა, ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენთან აღარ ხარ, გვგონია, მივლინებაში იმყოფები და მალე მოხვალ... მერე კი გულს ვაჯერებთ უფლის ნებას, გენიოსების სიტყვებს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი“.

გულს ვიმშვიდებთ იმით, რომ შენ კი არ მოკვდი, გარდაიცვალე, სააქაო სამშობლოდან, საიქიო სამშობლოში გადაინაცვლე საყვარელ მშობლებთან. მათ დაუმტკიცე კარგი შვილობა. ესეც ხომ დიდი სახელია, ეს ხომ საამაყოა, რაც ჩვენ გვამშვიდებს. ოდნავ თავს ვინუგეშებთ იმითაც, რომ ეს გზა სააქაოდან საიქიოსკენ მუდმივი და საყოველთაოა სამყაროში, დროსა და სივრცეში.

შენი კეთილშობილი ბუნებით პროფესიონალიზმითა და ტრადიციული ერთგულებით, გაგებით ემსახურე სოფელ სარფის მოსახლეობას 25 წლის განმავლობაში, ათეული წლები კი აჭარის საარქივო სამმართველოში კანცელარიას ხელმძღვანელობდი, სადაც შრომითი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. კიდევ მეტი - დაწერე წიგნი „აჭარის არქივისტები“ (ბათუმი, 2023), რომელიც მიუძღვენი არქივის დაწესებულების 100 წლისთავს. ამით დაიმკვიდრე არქივის ისტორიაში (არა მარტო) უკვდავი სახელი. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენი ოჯახი, შვილები, მეგობრები და საქმენი საამაყონი უკვდავების მაჩვენებელია.

იძინე მშვიდად მუდმივ და მშვიდ სასუფეველში, ჩვენო კეთილო კაცო, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები

გია ორაგველიძე, ნინო ხაჭაპურიძე ოჯახით თანაუგრძნობენ ზაზა გოგოტიშვილსა და ნანა არაშიძეს მამისა და მამამთილის

ვახტანგ გოგოტიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნინო ხაჭაპურიძე, მაია პატარაია ოჯახებით თანაუგრძნობენ მაია სხვიტარიძეს დედის

ნელი ჩეკურიშვილის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/08/23, 17 ⁴⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

როგორ გახდა ერთდროულად ფერმწერი, არქიტექტორი და ტანსაცმლის დიზაინერი

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

თათია სოხელია პროფესიით კონდიტერ-დიზაინერია. განათლება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მიიღო. სახვითი სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე ფერწერის სპეციალობა შეისწავლა. მარციპანისგან იმდენად დახვეწილ, ორიგინალურ და დეტალიზებულ ნამუშევრებს ქმნის, ერთი შეხედვით, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ეს ლამაზი ფიგურები შაქრის გემრიელობებია. დღეს თათია მარციპანის სამყაროში გვამოგზაურებს.

- თათია, უნივერსიტეტში ფერწერის მიმართულებით ჩაابარეთ, თუმცა საბოლოოდ მაინც მარციპანის ძერწვით დაინტერესდით. რატომ?

- ვთვლი, რომ ფერწერა არ არის ის სფერო, რომელშიც საკუთარ თავს ვიპოვიდი. ყოველთვის ტანსაცმლის დიზაინერობაზე ვოცნებობდი, თუმცა რომელ სპეციალობაზეც მოვხვდი, ის შევისწავლე. საკონდიტეროში ჩემი უახლოესი მეგობრის თხოვნით დავიწყე მუშაობა. გამოცდილება არ მქონდა და მან ძალიან შემიწყო ხელი, რომ თავი გამერთვა ამ საქმისთვის. საბოლოოდ, კონდიტერული დიზაინი გახდა ჩემი ძირითადი პროფესია. მართალია, ძველი ოცნება ვერ ავისრულე, მაგრამ დღეს მაინც დიზაინერი მქვია. ისიც მახარებს, რომ ჩემი პროფესია ხელოვნების რამდენიმე სფეროს მოიცავს - მუშაობისას ფერმწერიც ხარ, არქიტექტორიცა და ტანსაცმლის დიზაინერიც.

- როგორია მომზადების პროცესი, ტექნიკურად რა უნდა გაკეთდეს, რომ ფიგურების მთლიანობა არ დაირღვეს?

- ძერწვის ტექნიკა მარციპანის სახეობაზეც არის დამოკიდებული. უპირატესობას ვანიჭებ ნაკლებად ცხიმიან მარციპანს, რომელიც შედარებით მალე შრება, ფიგურის სიმყარისთვის კი სპეციალურ კონსტრუქციას ვაწყობ.

- ფიგურებზე მუშაობა ერთგვარ თერაპიას ჰგავს?

- ძერწვა ჩემთვის, მართლაც, ძალიან სასიამოვნოა, მით უმეტეს, როცა სასურველ შედეგს ვაღწევ, კმაყოფილების შეგრძნება განსაკუთრებით მაბედნიერებს.

- რამდენად რთულია მიკროსკოპული დეტალების დამზადება? ვფიქრობ, ძლიერ ნერვულ სისტემას უნდა საჭიროებდეს.

- ამ ეტაპისთვის საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და პატარა დეტალებზე მუშაობა არ მიჭირს. თუ პირველ ცდაზე რაღაც არ გამომდის, იმის ნებისყოფაც მაქვს, რომ დავშალო და თავიდან გავაკეთო... თუნდაც - მესამედ.

- როგორ ფერადდება მარციპანი?

- საკონდიტრო საღებავებით, ასევე, ერთმანეთში შეზელვით. მთავარია, ვიცოდეთ, რომელი ფერები ავიღოთ სასურველი ფერის მისაღებად. აი, აქ მეხმარება ჩემი გამოცდილება ფერწერაში.

- ტორტის ფიგურების გარდა, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს მარციპანისგან?

- მარციპანი, ძირითადად, საკონდიტროსთვისაა გათვლილი, მაგრამ შეგვიძლია ბავშვებს შევთავაზოთ საძერწ მასალად... თან უსაფრთხოა.

- როგორ მოვამზადოთ მარციპანის მასა სახლში?

- სახლში არ მიცდია მომზადება.

- როგორც ვიცით, თავდაპირველად ბათუმის საკონდიტრო „დონას“ ტორტებს აწყობდით მარციპანის ფიგურებით. კარგი გამოცდილება მიიღეთ?

- დიახ. პირველი გამოცდილება „დონაში“ მივიღე, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამ სფეროში მემუშავა.

- ამჟამად სად მუშაობთ, ონლაინშეკვეთებს თუ იღებთ?

- ამჟამად საკუთარი გვერდი მაქვს - „Tati's Art“, სადაც ონლაინ მიკვეთავენ ფიგურებს. სტაბილურად ვიღებ შეკვეთებს რამდენიმე საკონდიტროდან და საკონდიტრო მაღაზიიდანაც, სადაც ჩემი ფიგურები იყიდება.

- თუ გქონიათ ყველაზე უცნაური შეკვეთა, რომელიც მარციპანით დაამზადეთ?

- უცნაურზე მეტად უხერხული შეკვეთები ამიღია საკონდიტროში. ჩემს გვერდზე არ მქონია მსგავსი შემთხვევა.

- ყველაზე რთული ნამუშევარი რომელი იყო და რა დრო დაგჭირდათ მის დასამზადებლად?

- ზოგადად, ყველა ფიგურას დიდ დროს ვუთმობ და მაქსიმალურად ვიხარჯები, თუმცა ერთ-ერთ შეკვეთას გამოვარჩევდი. ეს იყო ანგელოზის ფრთები. ზომითაც ყველაზე დიდი და საკმაოდ შრომატევადიც. ღამის გათენებაც მომიწია, თითქმის 18 საათი დამჭირდა. დამღლელი სამუშაო მაქვს, მაგრამ ყოველი კმაყოფილი მომხმარებელი თავდაჯერებულობას მმატებს, უფრო რთული შეკვეთებიც რომ ავიღო.

- სანუკვარი ოცნება...

- საკუთარი საკონდიტროს გახსნა!.. იქამდე კი საჭიროა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს ჩემი გვერდი და მყავდეს ბევრად

მეტი კმაყოფილი მომხმარებელი, ვიდრე ახლა. ვფიქრობ, მაქვს იმის პოტენციალი, რომ დღითი დღე გავაუმჯობესო ჩემი შედეგი და უფრო დახვეწილი ფიგურები შევთავაზო მომხმარებელს. დღესდღეობით კონკურენცია უკვე იმდენად დიდია, რომ აუცილებელია ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო.

რამ გააერთიანა სამი მხატვარი?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ერთი სიყვარულის ამბავი“ - ასე ჰქვია გამოფენას, რომელსაც ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეა მასპინძლობს და რომელიც სამი მხატვრის: ანა დედაბრიშვილის, ანი გემაზაშვილისა და ნინო ყურაშვილის ნამუშევრებს აერთიანებს

ანა დედაბრიშვილის თქმით, სამივე მხატვარი გააერთიანა რომანტიკამ, გადაწყვიტეს თავიანთი ნამუშევრები სიყვარულის ამბად შეეკრათ და ზღვისპირა ქალაქისთვის მიეძღვნათ, ქალაქისთვის, რომელიც თავად სიყვარულია.

- ყველა თავისებურად ყვება თავის ამბავს, მე უფრო საკუთარ თავთან ნაპოვნ ჰარმონიასა და რომანტიკაზე გიამბობთ, რასაც სხვა ადამიანებს ვუზიარებ. ჩემს შემოქმედებაში სულ იცვლება თემები. შეიძლება ამის მიზეზი იყოს რაღაც კონკრეტული მოვლენა, აღმოჩენა, ან ქვეცნობიერიდან ტილოზე გადმოსული ფიქრი, ემოცია, განწყობა, ის, რაც ხდება და რაც გინდა, რომ მოხდეს. სხვათა შორის, არც ისე დიდი ხანია, ვხატავ, სულ რაღაც ოთხი წელია დავიწყე, ეს კი მთებში გატარებულმა ერთმა თვემ განაპირობა. მომინდა ლამაზი ფერები შემეტანა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მივხვდი, რომ მხატვრობა იყო ერთ-ერთი საშუალება, რომელიც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც მომცემდა ამის შესაძლებლობას. ასეც მოხდა და მას შემდეგ აღარ გავჩერებულვარ, ვცდილობ, ჩემი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანას და ძალიან მოხარული ვარ, რომ ბათუმის ხელოვნების გალერეა გვმასპინძლობს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ, - გვითხრა მხატვარმა ანა დედაბრიშვილმა.

თავისი ემოციები გაგვიზიარა გამოფენის კიდევ ერთმა მონაწილე მხატვარმა ნინო ყურაშვილმა:

- საუბარს დავიწყებ იმით, რომ სამი მხატვარი გაგვაერთიანა ჩემ მიერ დაარსებულმა ახალგაზრდა ხელოვანთა გილდიამ. ვეძებდი ახალგაზრდა ხელოვანებს და როდესაც ორი ანა გავიცანი, პირველივე დღიდან შედგა ჰარმონიული კავშირი, რომელიც დაფუძნებულია ერთმანეთის პატივისცემაზე, საერთო ინტერესებსა და, რა თქმა უნდა, სიყვარულზე. სწორედ აქედან მოდის ჩვენი სიყვარულის ამბავი, რაც აისახა კიდეც ერთობლივი გამოფენის სახელწოდებაში. ჩვენი შემოქმედების გზავნილი ერთია, გავერთიანდეთ, ადამიანებო, გვიყვარდეს ერთმანეთი და ხელოვნება წამოვწიოთ წინ, - აღნიშნა მხატვარმა.

გამოფენა „ერთი სიყვარულის ამბავი“ ხელოვნების მუზეუმის გალერეაში 11 აგვისტომდე გაგრძელდება.